





საქართველო-ყაზბეგის
ნივთების კარტინგის სახელი



საქართველოს აზალებურდა იურისტთა ასოციაცია

ფოტოები გარეკანზე - ქართულ გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის
მასალებიდან: პროფესორი თომას შტოლნერი, თორსტენ რაბსილბერი, მორის
იანსენი - © DBM (Deutsches Bergbau Museum); სხვა ფოტოები: სულხან სალაძე,
გოგიტა ბუხაძე.

ავტორი: სულხან სალაძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გარეკანის დიზაინი: სალომე საღარაძე

ინგლისურენოვანი თარგმანი: თეონა მაჭარაშვილი

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ანა ნაცვლიშვილი
სულხან სალაძე



აიწყო და დაკაბადონდა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

ვ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

ვებ-გვერდი: www.gyla.ge
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული
მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

სარჩევი

1.	მიზანი და მიზანები	4
1.1.	მეთოდოლოგია	4
1.2.	ძირითადი მიგნებები	4
2.	სანამ საყდრისი-ყაჩაღიანს ააფიქსირდეთ	7
3.	გერმანელი და გულგარელი ეპსკორტები	8
4.	მიმოწერა სააგენტოს, ეროვნულ მუზეუმსა და კომპანიას შორის	10
5.	სამინისტროში გამართული „მრგვალი მაგიდიდან“ საყდრისი-ყაჩაღიანის აფიქსირება	13
6.	მარგოფიცის დასკვნა	16
7.	2014 წლის 12 დეკემბერი	17
8.	2014 წლის 13 დეკემბერი – დიჭი აფიქსირებილან დღემდე	21
8.1.	მონიტორინგის საკითხები	22
8.2.	ინტერესთა კონფლიქტი	23
9.	ვინ დაარღვია კანონი?	24
10.	გაგრძელებული ლიცენზია	28
10.1.	მთავრობის სხდომამდე	28
10.2.	მთავრობის სხდომა	30
10.3.	მთავრობის სხდომამდე და მთავრობის სხდომის შემდეგ დავიწყებული საკითხები	32
11.	გამოძიება	33
12.	სასამართლო – მოსამართლის შვებულება, როგორც „გამოსავალი“?	34
13.	დასკვნა	38

1. მიზანი და მიზანები

2014 წლის ზაფხულში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საზოგადოებას საყდრისი-ყარაბაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ კვლევა წარუდგინა. კვლევაში დეტალურად იყო გაანალიზებული ისეთი საკითხები, როგორიცაა: 2013 წლის საყდრისი-ყარაბაღიანისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის ბათილად ცნობა და სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი კომისიის საქმიანობა; შპს "RMG-Gold"-ისთვის ლიცენზიის გაგრძელება და მისი კავშირი საყდრისი-ყარაბაღიანის უძველეს ოქროს მაღაროსთან; სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ის პარალელური პროცესები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებოდა საყდრისი-ყარაბაღიანს; ასევე, საყდრისის თაობაზე მიმდინარე სასამართლო პროცესები და სხვა საკითხები.¹ კვლევა ფართოდ იქნა განხილული საკითხით დაინტერესებული საზოგადოების წინაშე.

პარალელურად, იმის გათვალისწინებით, რომ 2014 წლის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კი წლის ბოლოს, საყდრისი-ყარაბაღიანის ირგვლივ მიმდინარე პროცესებმა კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით დააყენა უძველეს ოქროს მაღაროსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების საკითხი, დღის წესრიგში დადგა ახალი კვლევის მომზადების აუცილებლობა, რომელიც დამატებით ინფორმაციას მიაწოდებდა საზოგადოებას.

ძეგლის სტატუსის მოხსნა, მაღაროს აფეთქება და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება იმ საკითხების მხოლოდ ნაწილია, რომელთა შესახებ პერიოდულად ხდებოდა საზოგადოებისთვის ცნობილი. შესაბამისად, საიას მიერ საყდრისი-ყარაბაღიანთან დაკავშირებით მომზადებული რიგით მეორე კვლევის შემდეგ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაციის ის ნაწილიც, რომელიც ამ დრომდე უცნობი იყო და, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საყდრისი-ყარაბაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს ირგვლივ ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების ერთიან კონტექსტში აღსაქმელად.

ამასთან, კვლევაზე მუშაობის დროს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს თუ წიაღის მომპოვებელი კომპანიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საინტერესო კვლევის საგანს წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების, ეკოლოგიური ვალდებულებების შესრულებისა და კომპანიაში დასაქმებული ადამიანების შრომითი უფლებების დაცვის კუთხითაც. აღნიშნულ საკითხებზე უპრიანი იქნება ცალკე კვლევის მომზადება.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენილი კვლევა საყდრისი-ყარაბაღიანის მხოლოდ სამართლებრივ მხარეს ეხება და ის, ძირითადად, კულტურული მემკვიდრეობის და წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გაგრძელების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზით შემოიფარგლება, მთელ რიგ შემთხვევებში, კვლევამ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ იმაზე მეტი პასუხისმგებელი კითხვა გააჩინა, ვიდრე კვლევის დაწყებამდე არსებობდა.

1.1. მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, პირველი კვლევის მსგავსად, წინამდებარე კვლევაც რამდენიმე კომპონენტს მოიცავს, კერძოდ:

- საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ოფიციალური დოკუმენტების ანალიზი;
- სამეცნიერო რეესტრში დაცული მონაცემების დამუშავება და კვლევის მიზნებისთვის გამოყენება;
- მედია საშუალებებისა და საკითხით დაინტერესებული პარტნიორი ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა დროს მომზადებული სიუჟეტებისა თუ ანგარიშების შესწავლა.

1.2. ძირითადი მიგნებები

საიას მიერ წარმოადგენილი კვლევა, თემატური თვალსაზრისით, შემდეგი ძირითადი მიგნებების გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა:

საყდრისი-ყარაბაღიანისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნა და დაშლა (აღება)

- 2014 წლის 12 დეკემბერს, ერთი დღის განმავლობაში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საყდრისი-ყარაბაღიანის უძველეს ოქროს მაღაროსთან დაკავშირებით, უაღრესად საეჭვო გარემოებებში, ჯამში 17 ისეთი მოქმედება განახორციელეს და 4 ისეთი გადაწყვეტილება მიიღეს, რომელთა შედეგად, 2014 წლის 13 დეკემბერს შპს "RMG-Gold"-მა, არქეოლოგიური ობიექტის დაშლის (აღების) სახელით, საყდრისი №1 ყარაბაღიანის უბანზე უკანონოდ ააფეთქა საყდრისი-ყარაბაღიანის არქეოლოგიური ობიექტი.

¹ კვლევის ელ-ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ ბმულზე: https://gyla.ge/uploads/ge_full.pdf

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მიერ საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსთვის ძეგლის სტატუსის მოხსნის მიზნით პრძანების გაცემის დროისათვის – 2014 წლის 12 დეკემბერს – არ არსებობდა მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით მომზადებული დასკვნა, რომელიც დაადასტურებდა, რომ ძეგლს დაკარგული ჰქონდა ის ძირითადი მახასიათებელი, რომლის გამოც მას ადრე მიენიჭა ძეგლის სტატუსი.
- კომპანია „RMG-Gold“-ს 2014 წლის 12 დეკემბრის №445/1 განცხადებით არ მოუთხოვია საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნა. კომპანიამ მხოლოდ არქეოლოგიური ობიექტის დაშლაზე თანხმობის გაცემა ითხოვა. შესაბამისად, საყდრისი-ყაჩაღიანისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის ინიციატივა არა კომპანიიდან, არამედ თავად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მხრიდან მოდიოდა.
- 2014 წლის 12 დეკემბერს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით, ერთ დღეში ისე ჩაატარეს ადმინისტრაციული წარმოება, რომ აღნიშნულის შესახებ არც საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, არც არქეოლოგიური კვლევის ცენტრს და არც საყდრისი-ყაჩაღიანის ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებს არ შეატყობინეს. თუმცა, სააგენტომ და სამინისტრომ თავიდანვე იცოდნენ, რომ დაინტერესებული პირებისთვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შეუტყობინებლობას და, მით უმეტეს, ერთ დღეში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემას არსებითად შეეძლო გაეუარესებინა მათი მდგომარეობა.

რთული გეოლოგიური მდგომარეობა

- საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე რთული გეოლოგიური მდგომარეობის შესახებ საკითხი მხოლოდ მას შემდეგ გახდა აქტუალური, როდესაც ეროვნულმა მუზეუმმა კომპანიას შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა და ინტენსიური არქეოლოგიური საველე სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, საყდრისი-ყაჩაღიანში ჩაატარებელი სამუშაოების სავარაუდო ჯამური ლირებულება სულ 1,080 000 ევროს შეადგნდა და ინტენსიური არქეოლოგიური საველე სამუშაოები 2015 წლის ოქტომბერში უნდა დასრულებულიყო.

აფეთქების კანონიერება

- 2014 წლის 13 დეკემბერს შპს „RMG-Gold“-ს, საყდრისი №1 ყაჩაღიანის უბანზე აფეთქების განსახორციელებლად, არ გააჩნდა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ გაცემული სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვა. შესაბამისად, კომპანიამ აფეთქება უკანონოდ განახორციელა.

არქეოლოგიური ობიექტის დაშლა (აღება) VS მსხვილმასშტაბიანი სამუშაოები

- 2014 წლის 13 დეკემბრიდან „RMG-Gold“-მა საყდრისი-ყაჩაღიანში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოები განახლა. თუმცა, იმის გამო, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო 2014 წლის 30 ივნისს „RMG-Gold“-ს საყდრისი-ყაჩაღიანში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოების უფლება დროებით შეუჩერა (და ეს გადაწყვეტილება დღესაც ძალაშია), კომპანიამ რეალურად ეს სამუშაოები არქეოლოგიური ობიექტის „დაშლა-აღების“ სახელის ქვეშ განახორციელა.

არქეოლოგიური ობიექტის დაშლა (აღება) სპეციალისტების მონაწილეობის გარეშე

- შპს „RMG-Gold“-ის ინფორმაციის თანახმად, კომპანიამ 2014 წლის 29 დეკემბერს დაასრულა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის ე.წ. „დაშლა“. ამასთან, ის გარემოება, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები იბიექტზე პირველად 2015 წლის 9 იანვარს ჩავიდნენ, გამოდის, რომ 2014 წლის 13 დეკემბრიდან მოყოლებული 2015 წლის 9 იანვრამდე, წიაღის მომბოვებელი კომპანია დამოუკიდებლად ახორციელებდა ისეთ საქმიანობას, რომელიც აუცილებლად საჭიროებდა სპეციალურ ცოდნას და არქეოლოგების მხრიდან ზედამხედველობას. შესაძლებელია, რომ 2014 წლის 13 დეკემბრიდან 2015 წლის 9 იანვრამდე შუალედში, კომპანიის მიერ განხორციელებული მასშტაბური სამუშაოების პროცესში არქეოლოგების მონაწილეობის არარსებობის გამო, განზრას ან გაუფრთხილებლობით განადგურებულიყო ახლად აღმოჩენილი არტეფაქტები.

ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება

- უამრავ კითხვას აჩენს 2014 წლის 30 დეკემბერს, პრაქტიკულად ერთი დღის განმავლობაში, სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაჩარებული წესით მიღებული გადაწყვეტილება, რომელსაც შედეგად მოჰყვა შპს „RMG-Gold“-თვის საყდრისი-ყაჩალიანთან დაკავშირებული წილით სარგებლობის ლიცენზიის გაგრძელება კონკრეტულ სალოკაციო ტერიტორიაზე. ამ პროცესში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის, გარემოს ეროვნული სააგენტოს და საქართველოს მთავრობის ფორსირებული მოქმედება აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ „RMG-Gold“-ს წინასწარ ჰქონდა ლიცენზიის გაგრძელების გარანტია და 2014 წლის ბოლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იურიდიულად გაფორმდა.

გამოძიება

- საკითხისადმი პროკურატურის დამოკიდებულება ტოვებს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ, მაღალი ალბათობით, საგამოძიებო ორგანოს მხრიდან არ არსებობს მზაობა, სათანადოდ გამოიძიოს მომხდარი ფაქტი. აღნიშნულ ვარაუდს ამყარებს ისიც, თუ რა გარემოებებში და როგორი ფორმით განხორციელდა 2014 წლის 12 დეკემბერს საყდრისი-ყაჩალიანისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნა, ხოლო მოგვიანებით, იმავე თვის 31 რიცხვში, საყდრისი-ყაჩალიანის სალოკაციო ტერიტორიაზე ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება.

ინტერესთა კონფლიქტი

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, საყდრისი-ყაჩალიანის დაშლის (აღების) სამუშაოების პერმანენტული მონიტორინგის მიზნით, ვერ შეძლო 2015 წლის 9 იანვრიდან მოყოლებული 16 პრილის ჩათვლით მომუშავე ჯგუფის იმ შემადგენლობით დაკომპლექტება, რომელთა მიმართ არ იარსებებდა ინტერესთა კონფლიქტან დაკავშირებული კითხვები და რომლის წევრებსაც არ ექნებოდათ რაიმე შეხება „RMG-Gold“-თან.

სასამართლო, როგორც ხელშემწყობი

- 2015 წლის 4 თებერვალს და ამავე წლის 27 აპრილს მიღებული განჩინებებით, თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა, დროის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად განაპირობეს საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიური ობიექტის განადგურება. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 თებერვლის განჩინების შემთხვევაში – საუბარია გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე მიღებულ დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებაზე, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს იმავე წლის 27 აპრილის განჩინების შემთხვევაში – დროის იმ მონაცემთაზე, რომელიც კერძო საჩივრის წარდგენიდან განჩინების მიღებამდე სააპელაციო სასამართლოს დასჭირდა.

დისკრეციით მანიპულირება

- იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი დამოუკიდებლად აკომპლექტებს სააგენტოს სისტემაში არსებული საბჭოს სექციებს და ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს წევრთა შემადგენლობა, სრულებით შესაძლებელია, 2014 წლის 24 ნოემბერს სტრატეგიული საკითხების სექციის განახლება და სამი ახალი წევრის დანიშვნა სწორედ საყდრისი-ყაჩალიანის საკითხის „გადასაწყვეტად“ მოხდა. მნიშვნელოვანია, რომ 2014 წლის 12 დეკემბერს სტრატეგიული საკითხების სექციის იმ სხდომაზე, რომელზეც საყდრისი-ყაჩალიანისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნის საკითხი განიხილებოდა, სწორედ ახალი წევრების პოზიციამ შეასრულა გადამწყვეტი როლი საყდრისი-ყაჩალიანისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნის მიზნით გამართული კენჭისყრის შედეგებზე. უფრო მეტიც, საყდრისი-ყაჩალიანის შემთხვევა ნათლად მიუთითებს, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სისტემაში არსებული საბჭო და მასთან დაკავშირებული საკითხები სისტემური პრობლემის ნაწილია და „კანონის სახელით“ მიღებული გადაწყვეტილებით, შესაძლოა, ნებისმიერმა ძეგლმა გაიზიაროს საყდრისი-ყაჩალიანის ბედი.

წარმოდგენილ კვლევაში, ზემოთ აღნიშნული მიგნებები ვრცლად არის განხილული და სათანადო დოკუმენტებით გამყარებული.

2. სანამ საყდრისი-ყაჩალიანს ააფეთქებდნო

2014 წლის 30 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ საყდრისი-ყაჩალიანთან დაკავშირებით უაღრესად მნიშვნელოვანი განჩინება მიიღო და დააგმაყოფილა მოსარჩელეების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შეჩერებულიყო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის №01/01-1227 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება.² შედეგად, „RMG-Gold“-ს საყდრისი-ყაჩალიანი მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოების თაობაზე მიღებული თანხმობა შეუჩერდა. სასამართლოს ეს განჩინება დღემდე ძალაშია და არც თბილისის სააპელაციო სასამართლოს შეუცვლია.³

მოგვიანებით, იმავე წლის 13 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ საყდრისი-ყაჩალიანთან დაკავშირებულ კიდევ ერთ საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება და, სხვა აქტების ბათილად ცნობის პარალელურად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ის პრძანებაც ცნო ბათილად, რომლის ძალითაც საყდრისი-ყაჩალიანს 2013 წლის 5 ივნისს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი გაუუქმდა.⁴

შესაბამისად, 2014 წლის 13 ივნისიდან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და კომპანია „RMG-Gold“-ი მოულოდნელი რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ. სასამართლომ ცალსახად დაადასტურა, რომ მთელი ის პროცესი, რომლის შედეგადაც საყდრისი-ყაჩალიანი ძეგლის სტატუსის გარეშე დარჩა, უკანონო იყო, ხოლო მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოებაზე ფიქრი კომპანიას კიდევ დიდი ხნით უნდა დაევინებინა. ნათელი გახდა, რომ სტრატეგია, რომელსაც „RMG-Gold“ 2013 წლიდან მოყოლებული 2014 წლის ივნისის თვის ჩათვლით ატარებდა და რაშიც მას, მაღალი აღბათობით, სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანო ერთად კრახი განიცადა. საჭირო იყო ცვლილებები.

ცვლილებები მალე დაიწყო. 2014 წლის 16 ივნისს „RMG-Gold“-ის პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოდან გამოწვეული იქნენ - ზურაბ ქუთელია, დიმიტრი ტრიოცკი და დიმიტრი კორუვევი. მათ ნაცვლად კი, საბჭოს წევრებად დაინიშნენ - სერგეი ეგანოვი, ალ-ვიდას ბრუსოკასი და ვახტანგ ფარესიშვილი.⁵ პარტნიორის აღნიშნული გადაწყვეტილება იმავე წლის 26 ივნისს საჯარო რეესტრის ამონაწერით დადასტურდა.⁶ სერგეი ეგანოვი, ალვიდას ბრუსოკასი და ვახტანგ ფარესიშვილი დღემდე რჩებიან შპს „RMG-Gold“-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად.⁷

ამრიგად, 2014 წლის 26 ივნისისთვის „RMG-Gold“-ში იურიდიული თვალსაზრისით შეიცვალა ის მენეჯ-მენტი, რომლის დროსაც ვერ მოხერხდა საყდრისის საკითხის „გადაწყვეტა“. თუმცა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, მხოლოდ მენეჯ-მენტის ცვლილება საკმარისი არ იყო იმისთვის, რომ საყდრისი-ყაჩალიანის საკითხი „გადაწყვეტილიყო“.

² თბილისის საქალაქო სასამართლოს #3/1654-14 საქმეზე მიღებული 2014 წლის 30 მაისის განჩინება. მხარეები: მოსარჩელე - კახა კოჯორიძე, დალი მამულაშვილი. მოპასუხე - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. მესამე პირი: „RMG-Gold“. გადაწყვეტილება შემდეგ ბმულზე - <http://gyla.ge/uploads/sakdrisiganchiseba.pdf>.

³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 30 ივნისის #3/b-784-14 საქმეზე მიღებული განჩინება;

⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება #3/3877 საქმეზე. მხარეები: მოსარჩელე - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“, დავით სახვაძე. მოპასუხე - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს მთავრობა. მესამე პირი - საქართველოს ეკინომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, შპს „RMG-Gold“. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ინტერნეტში შემდეგ ბმულზე - http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/10/court_decision_Final.pdf.

⁵ შპს „RMG-Gold“-ის პარტნიორის 2014 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება - www.reestri.gov.ge;

⁶ სამეცნიერო რეესტრის 2014 წლის 26 ივნისის ამონაწერი შპს „RMG-Gold“-თან დაკავშირებით - www.reestri.gov.ge;

⁷ სამეცნიერო რეესტრის 2015 წლის 9 თებერვლის ამონაწერი შპს „RMG-Gold“-თან დაკავშირებით - www.reestri.gov.ge;

3. გერმანელი და გულგარელი ექსპერტები

2014 წლის 24 აპრილს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ საყდრისის-ყაჩალიანთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გაავრცელა. განცხადებაში ძირითადი აქცენტი კეთდებოდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კომპანია „RMG-Gold“-ს შორის გაფორმებულ მემორანდუმზე, რომელიც, სამინისტროს განცხადებით, სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობის უცილებლობის სკონის იყო მიმართული.⁸ განცხადებაში სამინისტრო ასევე აცხადებდა, რომ მემორანდუმის თანახმად, საყდრისზე დაკვირვებას აწარმოებდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფი. ამასთან, ჩამოდიოდნენ საერთაშორისო ექსპერტები, რომლებიც მონიტორინგს გაუწევდნენ ლიცენზით გათვალისწინებულ სამუშაოებს.⁹

სამინისტროს ზემოთ აღნიშნული განცხადების შემდეგ საია ორი მნიშვნელოვანი საკითხით დაინტერესდა. პირველი ესებოდა ინსპექტირების ჯგუფის საქმიანობას, ხოლო მეორე – საერთაშორისო ექსპერტებს. შესაბამისად, საიამ წერილობით მიმართა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და შემდეგი ინფორმაციის გაცემა ითხოვა:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და „RMG-Gold“-ს შორის 2014 წლის 25 მარტს გაფორმებული მემორანდუმი;
- ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის შექმნის მიზნით გამოცემული სამართლებრივი აქტი;
- ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის მიერ გამართული ყველა სხდომის ოქმი;
- ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის მიერ ლიცენზიით გათვალისწინებული სამუშაოების მონიტორინგის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ამომწურავი ჩამონათვალი (შესაბამისი ღონისძიების განხორციელების კონკრეტული თარიღის მითითებით);
- ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის მიერ ყაჩაღიანის უბნის ადგილზე შემოწმების მიზნით გატარებული ღონისძიების ამომწურავი ჩამონათვალი (შესაბამისი ღონისძიების განხორციელების კონკრეტული თარიღის მითითებით);
- საერთაშორისო ექსპერტებთან გაგზავნილი და მიღებული ყველა კორესპონდენციის ასლი (მათ შორის, ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი და მიღებული წერილები).¹⁰

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის გაცემა მხოლოდ საიას მიერ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემდეგ დაიწყო.¹¹ პირველ ეტაპზე სააგენტომ საიას მიაწოდა კომპანიასა და სააგენტოს შორის გაფორმებული მემორანდუმის ასლი და სხვა საკითხებთან დაკავშირებით აწონდა, რომ:

- სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის ინსპექციის სამსახურის თანამშრომლებისა და შესაბამისი სპეციალისტების მიერ, 2014 წლის 23 აპრილიდან იმავე წლის 3 მაისის ჩათვლით, ხორციელდებოდა საყდრისის-ყაჩაღიანის ბორცვის სისტემატური მონიტორინგი და ტერიტორიის ფოტოგრაფირება;
- მონიტორინგის პერიოდში შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა სამუშაოების მიმდინარეობის არცერთი ფაქტი და რაიმე სახის სამართლდარღვევა. შესაბამისად, სააგენტოს პოზიციით, მონიტორინგის ჯგუფი არ იყო ვალდებული, წარმოედგინათ ანგარიშები ამასთან დაკავშირებით და მათ მიერ ხორციელდებოდა მხოლოდ ტერიტორიის ფოტოგრაფირება;
- საერთაშორისო ექსპერტებთან გაგზავნილი და მიღებული კორესპონდენციის ნაწილში კი აღინიშნა, რომ ხელშეკრულების გაფორმებამდე მათთან მიმოწერა და ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმება ხორციელდებოდა სააგენტოს ერთ-ერთ თანამშრომლის პირადი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ამასთან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა აღმასრულებელ პრივილეგიას¹² და სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას, გაეცა იგი.¹³

⁸ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 24 აპრილის ოფიციალური განცხადება - <http://www.culture.gov.ge/topicdetails-1.12172.html>;

⁹ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 24 აპრილის ოფიციალური განცხადება - <http://www.culture.gov.ge/topicdetails-1.12172.html>;

¹⁰ საიას 2014 წლის 30 აპრილის #გ-04/171-14 კორესპონდენცია;

¹¹ საიას 2014 წლის 29 მაისის სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე. მოპასუხე - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

¹² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 29-ე მუხლის თანახმად - თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა (გარდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) ვინაობა დაცულია გამხელისაგან აღმასრულებელი პრივილეგით.

¹³ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 2 ივნისის #10/09/615 კორესპონდენცია;

თუმცა, საიას სააგენტოსგან საერთოდ არ უთხოვია იმ კონკრეტული თანამშრომლის ვინაობის გამუღნება, რომლის პირადი ელექტრონული ფოსტის გამოყენებითაც ხორციელდებოდა მიმოწერა. შესაბამისად, მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის მიზეზად აღმასრულებელი პრივი-ლეგიის გამოყენება აბსოლუტურად უადგილო იყო. გარდა ამისა, ცალკე საკითხია, ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომელი სამსახურებრივი მიზნებისთვის ოფიციალურ მიმოწერას პირადი ელ-ფოსტით უნდა ახორციელებდეს თუ არა.

მოგვიანებით, სააგენტომ საიას აცნობა, რომ საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიური ობიექტის მონიტორინგის მიზნით, სეეციალური ინსპექტორების ჯგუფი არ შექმნილა და, შესაბამისად, არც სამართლებრივი აქტი გამოცემულა. ამასთან, მონიტორინგის ჯგუფის მიერ არ შემდგარა აქტი და არ ჩატარებულა სხდომები. მათ მიერ მხოლოდ ტერიტორიის ფოტოგრაფირება ხორციელდებოდა. ხოლო გერმანელ და ბულგარელ ექსპერტებთან დაკავშირებით სააგენტო იმავე პოზიციაზე დარჩა და ინფორმაცია კვლავაც აღმასრულებელ პრივილეგიად მიიჩნია.¹⁴

კიდევ უფრო შორს წავიდა თბილისის საქალაქო სასამართლო, როდესაც გერმანელ და ბულგარელ ექსპერტებთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ განხორციელებულ ელექტრონულ მიმოწერაზე მსჯელობის დროს აღნიშნა, რომ „საჯარო ინფორმაციის გაცემის სუბიექტს წარმოადგენს ყველა საჯარო დაწესებულება, რომელსაც გააჩნია სათანადო საჯარო ინფორმაცია, ან ხელი მიუწვდება მასზე. რამდენადაც მოთხოვნილი ინფორმაცია, მოპასუხის აღიარებით, არ არის დაცული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში, ვინაიდან მიმოწერა განხორციელდა ხელშეკრულების გაფორმებამდე სააგენტოს თანამშრომლის პირადი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და ეხებოდა მხოლოდ ექსპერტების საქართველოში ჩამოსვლის თარიღთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს, საჯარო დაწესებულებას ვერ დაევალება იმ ინფორმაციის გაცემა, რომელიც არ წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს და რომელსაც იგი არ ფლობს.“¹⁵

სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, მნიშვნელოვანია არა ის, თუ რა სტატუსით და რომელ საკითხზე ახორციელებდა სააგენტოს თანამშრომელი მიმოწერას, არამედ ის, რომ მიმოწერა პირადი ელექტრონული ფოსტის საშუალებით ხდებოდა. უფრო მეტიც, გამოდის, რომ ბულგარელ და გერმანელ ექსპერტებთან მიმოწერას ერთი კონკრეტული პირი ახორციელებდა და არა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

საიასთვის ამ დრომდე უცნობი დარჩა დეტალები იმ მიმოწერის შესახებ, რომელსაც სააგენტოს ერთ-ერთი თანამშრომელი პირადი ელექტრონული ფოსტის საშუალებით ახორციელებდა საერთაშორისო ექსპერტების შერჩევის მიზნით. თუმცა, საიას ხელთ არსებული გერმანელი და ბულგარელი ექსპერტების 2014 წლის 19 მაისით დათარიღებული საბოლოო ანგარიშის თანახმად ცნობილი ხდება, რომ დოკუმენტში ცალ-ცალკე თავები დაეთმო შემდეგ საკითხებს:

1. შესავალი
 - დოკუმენტი (ხელშეკრულება)
 - ექსპერტთა კვალიფიკაცია;
 - ხელშეკრულების საგანი;
2. საყდრისი-ყაჩალიანის პრობლემისა და მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა;
3. ამოცანა და მიდგომა;
4. საყდრისის საბადოს ყაჩალიანის საიტზე¹⁶ განხორციელებული არქეოლოგიური და გეოლოგიური მონიტორინგის შედეგები;
5. რეკომენდაციები;
6. დასკვნები.¹⁷

ცხადია, საიას მიზანს არ წარმოადგენს ანგარიშის დეტალური განხილვა და მისი ანალიზი (მით უმეტეს, რომ ანგარიში სპეციფიკურ ცოდნას საჭიროებს), თუმცა, საგულისხმოა ვენელინ ჟელევის და ალბრეხტ იოკენპოველის მიერ საკითხთან დაკავშირებით მომზადებული რეკომენდაციები, რომლებიც საკითხის გადაწყვეტის სამ გზაზე მიუთითებდა. კერძოდ:

- ტერიტორიისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭება;

¹⁴ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 1 დეკემბრის #10/09/1785 კორსპონდენცია;

¹⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 დეკემბრის განჩინება (საქმე #3/1859-14);

¹⁶ მეცნიერება;

¹⁷ საბოლოო ანგარიში საყდრისი-ყაჩალიანის პრობლემის თაობაზე. ავტორები: პროფესორი დოქტორი ვენელინ ჟელევი და პროფესორი დოქტორი ალბრეხტ იოკენპოველი. 19 მაისი, 2014 წელი;

- მადნის მოპოვების დაწყება არსებული არქეოლოგიური მონაცემების უგულებელყოფით;
- კონსენსუსის მიღწევა.¹⁸

ექსპერტების მოსაზრებით, სწორედ კონსენსუსის მიღწევა იყო საუკეთესო გამოსავალი მოცემული სიტუაციიდან და ამისთვის მნიშვნელოვანი იყო ორივე მხარის კომპრომისზე წასვლა. მსგავსი პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით არსებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით (ადა ტეპეს ოქროს საბადო ბულგარეთში), საჭირო იყო, სახელმწიფო დაწესებულებებს დაერჩეულებინათ მხარეები, რომ სიტუაციიდან ერთადერთი მშვიდობიანი გამოსავალი იყო შეცვედრების ორგანიზება, გადაუდებელი გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოების და მადნის მოპოვების პროცესში არქეოლოგიური მონიტორინგის გეგმის არსებობა.¹⁹

თუმცა, მოგვიანებით, 2014 წლის 12 და 13 დეკემბერს განვითარებულმა მოვლენებმა თავდაყირა დააყენა გერმანელი და ბულგარელი ექსპერტების ის რეკომენდაცია, რომელსაც ეს უკანასკნელი სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავლად მიიჩნევდნენ.

4. მიმოხილვა სააგენტოს, ეროვნულ გუზეუმსა და კომპანიას შორის

2014 წლის მეორე ნახევრიდან „RMG-Gold“-სა და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის მიმნერა განახლდა. მიმოწერა, რომელიც ძირითადად კომპანიას, ეროვნულ მუზეუმსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის წარმოებდა, ბევრ საგულისხმო დეტალს შეიცავს. შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია ამ მიმოწერის შესახებ, რომელიც პირობითად რამდენიმე რაუზდად დავყავით.

რაუნდი I

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინფორმაციით, 2014 წლის 10 სექტემბერს ეროვნულ მუზეუმში წარდგენილ იქნა „RMG-Gold“-ის განცხადება, რომლის მიხედვითაც, კომპანიამ საყდრისი-ყაჩალიანში სპეციალისტების ჯგუფის შესვლის მზადყოფნა გამოთქვა და იმავე წლის 17 სექტემბრამდე მუზეუმს, საყდრისი-ყაჩალიანთან დაკავშირებით დასკვნითი კვლევისთვის საჭირო სამუშაოებისა და ბიუჯეტის განსაზღვრის მიზნით, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება სთხოვა.²⁰

კომპანიის წერილის პასუხად, მუზეუმმა 12 სექტემბერს აცნობა, რომ ობიექტური მიზეზების გამო მკვლევართა ჯგუფი ძეგლზე გასვლას მხოლოდ 17 სექტემბრიდან შეძლებდა და შეცდებოდა, შემჭიდროებულ ვადებში დაესრულებინა მუშაობა. ეროვნული მუზეუმის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ სპეციალისტებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში ველზე მუშაობის საშუალება არ ჰქონიათ, მნიშვნელოვანი იყო სიტუაციის ადგილზე შეფასება.²¹ ამრიგად, ეროვნულმა მუზეუმმა თავიდანვე აცნობა „RMG-Gold“-ს, რომ ობიექტურ მიზეზთა გამო კომპანიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის 17 სექტემბრამდე მიწოდება პრაქტიკულად გამორიცხული იყო.

რაუნდი II

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ზემოთ აღნიშნული წერილის პასუხად, შპს „RMG-Gold“-მა მუზეუმისთვის იმავე წლის 17 სექტემბერს გაგზავნილ წერილში კიდევ ერთხელ დაადასტურა თანამშრომლობის მზადყოფნა და, სიტუაციის ადგილზე შეფასების მიზნით, მუზეუმს ყველანაირი ხელშეწყობის პირობა მისცა. თუმცა, წერილშივე გამოთქვა უკმაყოფილება, რომელიც სპეციალისტების საყდრისი-ყაჩალიანში შესვლის თარიღის გადაწევას ეხებოდა. 17 სექტემბრის წერილშივე „RMG-Gold“-მა ეროვნულ მუზეუმს სთხოვა, რომ 2014 წლის 22 სექტემბრამდე საყდრისი-ყაჩალიანში ჩასატარებელი გადაუდებელი არქეოლოგიური კვლევებისთვის საჭირო სამუშაოების სრული ჩამონათვალი და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა მიეწოდებინა.²²

„RMG-Gold“-ის 2014 წლის 17 სექტემბრის წერილის პასუხად, ეროვნულმა მუზეუმმა კომპანიას აცნობა, რომ მეცნიერთა ჯგუფი 17 სექტემბრიდან საყდრისი-ყაჩალიანში შეფასებით არქეოლოგიურ სამუშაოებს ატარებდა და ძეგლზე მინის ზედაპირზე დაგეგმილი კვლევები განხორციელდა. თუმცა, ეროვნულმა მუზეუმმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მეცნიერთა ჯგუფს გარკვეული პრობლემა

¹⁸ საბოლოო ანგარიში საყდრისი-ყაჩალიანის პრობლემის თაობაზე. ავტორები: პროფესორი დოქტორი ვენელინ ჟილევი და პროფესორი დოქტორი ალბრეხტ იოკენპოველი. 19 მაისი, 2014 წელი;

¹⁹ საბოლოო ანგარიში საყდრისი-ყაჩალიანის პრობლემის თაობაზე. ავტორები: პროფესორი დოქტორი ვენელინ ჟილევი და პროფესორი დოქტორი ალბრეხტ იოკენპოველი. 19 მაისი, 2014 წელი;

²⁰ შპს „RMG-Gold“-ის 2014 წლის 10 სექტემბრის #621 კორესპონდენცია;

²¹ საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2014 წლის 12 სექტემბრის #04/08-1072 კორესპონდენცია;

²² შპს „RMG-Gold“-ის 2014 წლის 17 სექტემბრის #633 კორესპონდენცია;

ცუდმა ამინდმა შეუქმნა. ამასთან, მუზეუმი მითითებდა, რომ მიწისქვეშა გვირაბების შეფასებითი სამუშაოები 23 სექტემბრისთვის იყო დაგეგმილი და საბოლოო დოკუმენტაციის მომზადებას სპეციალისტები 2014 წლის 26 სექტემბრისთვის დასრულებდნენ.²³

საყურადღებოა ისიც, რომ „RMG-Gold”-ის 2014 წლის 17 სექტემბრის წერილის საპასუხოდ გაგზავნილ კორესპონდენციაში ეროვნულმა მუზეუმმა ხაზგასმით მიუთითა საყდრისი-ყაჩალიანში მეცნიერთა ჯგუფის შესვლის თარიღის გადადებასთან დაკავშირებით კომპანიის მიერ გამოთქმული უქმიყოფილების თაობაზე და შეახსენა, რომ კომპანიასა და ეროვნულ მუზეუმს თარიღებთან დაკავშირებული შეთანხმება არ ჰქონიათ.²⁴

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა 2014 წლის 26 სექტემბერს „RMG-Gold”-ს კიდევ ერთი წერილი გაუგზავნა და, კომპანიის 17 სექტემბრის წერილის პასუხად, საყდრისი-ყაჩალიანში საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მომზადებული ანგარიშის ინგლისურენოვანი ვერსია მიაწოდა. ამასთან, გამოთქვა მზადყოფნა, რომ უახლოეს მომავალში, თარგმნის შემდეგ, მიაწოდებდა ანგარიშის ქართულენოვან ვერსიასაც და სამეცნიერო სამუშაოებისთვის საჭირო იმ ბიუჯეტსაც, რომელიც დამუშავების პროცესში იყო.²⁵

რაუნდი III

2014 წლის 30 სექტემბერს შპს „RMG-Gold”-მა მორიგი წერილი გაუგზავნა ეროვნულ მუზეუმს და, გარდა იმისა, რომ კიდევ ერთხელ გამოთქვა უკამაყოფილება საყდრისი-ყაჩალიანში სამეცნიერო ჯგუფის მიერ განხორციელებული სამუშაოების თარიღებთან დაკავშირებით, სთხოვა, რომ დაუყოვნებლივ ეცნობებინათ კომპანიისთვის ზუსტი თარიღი, თუ როდის ნარუდგენდნენ საყდრისი-ყაჩალიანში საბოლოო გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოებისთვის საჭირო დოკუმენტაციას ქართულ ენაზე, თანდართული ბიუჯეტით. შედეგად, კომპანია გამოთქვამდა მზადყოფნას, განეხილა ურთიერთანამშრომლობის შესაძლებლობები.²⁶

ზემოთ აღნიშნული წერილი პასუხად, 2014 წლის 6 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საშუალებით, წერილი გაუგზავნა „RMG-Gold”-ს და საყდრისში სამომავლო არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო ჯგუფის მიერ მომზადებული დოკუმენტის ქართულენოვანი ვერსია მიაწოდა. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავდა ინფორმაციას იმუამინდელი სიტუაციის შეფასების, სამომავლო სამოქმედო გეგმის და ძეგლის სრულყოფილი კვლევის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის შესახებ.²⁷

წერილის თანახმად, ძეგლის შესწავლა იმ საერთაშორისო ჯგუფს უნდა გაეგრძელებინა, რომელიც სხვადასხვა ინსტიტუციის გამოცდილ სპეციალისტებს აერთიანებდა და 2004-2013 წლებში, ფოლკსვა-გენის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, უშუალოდ მონაწილეობდნენ კვლევაში.²⁸

წარდგენილი ხარჯების ჩამონათვალი, რომლის სავარაუდო ჯამური ოდენობა 1,080,000 ევროს შეადგენდა, მოიცავდა: საველე სამუშაოებს, ლაბორატორიულ და კამერალურ კვლევებს, პუბლიკაციებს და სხვა აუცილებელ საქმიანობებს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, მხარს უჭერდა პროექტის წარდგენილი ფორმით განხორციელებას. ამასთან, მუზეუმი იმედს გამოთქვამდა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონაწილეობით და მხარდაჭერით მოხერხდებოდა სრულყოფილი კვლევითი სამუშაოების ჩატარება და გამოვლილი ისტორიული მემკვიდრეობის კონსერვაცია. მთლიანობაში, ინტენსიური არქეოლოგიური საველე სამუშაოები 2015 წლის ოქტომბერში უნდა დასრულებულიყო.²⁹

ეროვნული მუზეუმის ზემოთ აღნიშნული წერილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ 2014 წლის 8 ოქტომბერს შპს „RMG-Gold”-ს გადაუგზავნა და საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების წარდგენა სთხოვა.³⁰

ამრიგად, 2014 წლის 8 ოქტომბრისთვის „RMG-Gold”-ს ხელთ ჰქონდა ის დოკუმენტაცია და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა, რომლის შესახებაც ეროვნულ მუზეუმს პირველად იმავე წლის 10 სექტემბერს მიმართა.

²³ საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2014 წლის 2 სექტემბრის #04/08-1104 კორესპონდენცია;

²⁴ საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2014 წლის 22 სექტემბრის #04/08-1104 კორესპონდენცია;

²⁵ საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2014 წლის 26 სექტემბრის #04/08-1128 კორესპონდენცია;

²⁶ შპს „RMG-Gold”-ის 2014 წლის 30 სექტემბრის #662(გ) კორესპონდენცია;

²⁷ საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2014 წლის 6 ოქტომბრის #04/08-1156 კორესპონდენცია;

²⁸ საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2014 წლის 6 ოქტომბრის #04/08-1156 კორესპონდენცია;

²⁹ საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2014 წლის 6 ოქტომბრის #04/08-1156 კორესპონდენცია;

³⁰ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 8 ოქტომბრის #10/09/1431 კორესპონდენცია;

რაუნდი IV

2014 წლის 10 ოქტომბრიდან უმოკლეს დროში საყდრისი-ყაჩალიანთან დაკავშირებით „RMG-Gold“-ის პოზიცია კარდინალურად შეიცვალა. ოქტომბრის თვის 22 რიცხვით დათარიღებული წერილით კომპანიამ ეროვნულ მუზეუმს და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს აცნობა, რომ საყდრისი-ყაჩალიანის ობიექტის შემდგომი კვლევისთვის ეროვნული მუზეუმის მიერ მოთხოვნილი ვადები კომპანიას მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნიდა.³¹ თუმცა, „RMG-Gold“-ს არ დაუსაბუთებია, თუ რატომ უქმნიდა კომპანიას „მნიშვნელოვან პრობლემებს“ ეროვნული მუზეუმის მიერ მოთხოვნილი ვადა.

პარალელურად, იმავე წერილში „RMG-Gold“-მა საყდრისი-ყაჩალიანში არსებულ რთულ გეოლოგიურ მდგომარეობაზე მიუთითა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ობიექტზე შესვლის შემთხვევაში, ნებისმიერ ადამიანის სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დადგებოდა. აღნიშნულის დასტურად კი, კომპანიისთვის გეოლოგების მიერ მიწოდებული ინფორმაცია და არსებული რეალობა მიუთითა.³²

ამრიგად, 2014 წლის 22 ოქტომბრისთვის „RMG-Gold“-მა საყდრისი-ყაჩალიანის კონტექსტში საჯაროდ პირველად გააქცევრა ინფორმაცია ძეგლის ე.წ. რთული გეოლოგიური მდგომარეობის შესახებ და პრაქტიკულად იმავე დღიდან შეცვალა ის სტრატეგია, რომელსაც 2014 წლის სექტემბრიდან მოყოლებული 22 ოქტომბრამდე იყენებდა.

თავის მხრივ, საყდრისი-ყაჩალიანის ირგვლივ არსებული იმ ახალი რეალობის შესახებ, რომლის თაობაზეც კომპანიამ 2014 წლის 22 ოქტომბრით დათარიღებული წერილით აცნობა ეროვნულ მუზეუმს, 2014 წლის 5 ნოემბერს მუზეუმმა წერილი გაუგზვნა კომპანიას და სხვა საკითხების პარალელურად აღნიშნა, რომ საყდრისი-ყაჩალიანის ბორცვის იმჟამინდელ მდგომარეობასა და მისი ბუნებრივად დანგრევის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული მუზეუმი ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ აუცილებელი იყო გეოლოგების მიერ ბორცვის მდგრადობის შესწავლა.³³

ეროვნული მუზეუმის ზემოთ აღნიშნული კორესპონდენციის შემდეგ „RMG-Gold“-მა მორიგი წერილი გაუგზვნა ეროვნულ მუზეუმს და ამჯერად კომპანიის მიერ დაქირავებული გეოლოგების მომზადებული საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა წარუდგინა საყდრისის №1 ყაჩალიანის უბნის შესახებ. კომპანიის კონტრაქტორი გეოლოგების მიერ მომზადებული დასკვნიდან გამომდინარე, „RMG-Gold“-ი წერილში აღნიშნავდა, რომ - „საყდრისი-ყაჩალიანის ბორცვი საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით იმყოფება არამდგრად მდგომარეობაში, უსაფრთხოების კუთხით მაღალინტენსიურია, ხოლო ჩამონგრევის რისკების მატარებელი გარემოებები დასამვებზე მეტია. ბუნებრივ-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, გათხრების წარმოება და სხვა საქმიანობა ადამიანის სიცოცხლისა და ჯამშრთელობისთვის სახიფათოა.“³⁴

წერილში ასევე აღნიშნული იყო, რომ ობიექტის ბუნებრივად დანგრევა, გარემო პირობებიდან (მეტეოროლოგიური და სეისმური პირობები და სხვა ტექტონიკური პროცესებით გამოწვეული ზემოქმედება) გამომდინარე, მომავალში გარდაუვალი იყო.³⁵

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, „RMG-Gold“-ი ეროვნულ მუზეუმს ბოლნისის მუნიციპალიტეტში არქეოლოგიური მუზეუმის აშენებას სთავაზობდა, რომელსაც კომპანია დააფინანსებდა. შედეგად, უზრუნველყოფილი იქნებოდა არსებული არქეოლოგიური მასალების ექსპონირება, დაცვა და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა.³⁶

ეროვნულ მუზეუმსა და კომპანიას შორის მიმოწერის მორიგი დასკვნითი რაუნდი 2014 წლის 25 ნოემბერს შედგა. ამჯერად ეროვნული მუზეუმი „RMG-Gold“-ისთვის გაგზავნილ წერილში კომპანიის მიერ მიწოდებულ საინჟინრო გეოლოგიურ დასკვნას გამოეხმაურა და აღნიშნა: „ძალიან სამწუხაროა, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო შეიქმნა დასკვნაში აღწერილი ვითარება, რომელმაც პრობლემური გახადა როგორც ძეგლის სრულყოფილი შენარჩუნება, ასევე, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა არქეოლოგიური სამუშაოების გაგრძელების შესაძლებლობა.“³⁷

³¹ შპს „RMG-Gold“-ის 2014 წლის 22 ოქტომბრის #703 კორესპონდენცია;

³² შპს „RMG-Gold“-ის 2014 წლის 22 ოქტომბრის #703 კორესპონდენცია;

³³ საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2014 წლის 5 ნოემბრის #01/08-1306 კორესპონდენცია;

³⁴ შპს „RMG-Gold“-ის 2014 წლის 18 ნოემბრის კორესპონდენცია;

³⁵ შპს „RMG-Gold“-ის 2014 წლის 18 ნოემბრის კორესპონდენცია;

³⁶ შპს „RMG-Gold“-ის 2014 წლის 18 ნოემბრის კორესპონდენცია;

³⁷ საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2014 წლის 25 ნოემბრის #01/08-1391 კორესპონდენცია;

ის, რაც რაუნდებს მიღმა დარჩა

მთლიანობაში, კომპანიასა და ეროვნულ მუზეუმს შორის 2014 წლის შემოდგომაზე გამართულ მიმოწერას თუ შევაჯამებთ, ნათელი გახდება, რომ მიმოწერა, რომელიც საწყის ეტაპზე საყდრისი-ყაჩალიანის იმუშავიდელი სიტუაციის შეფასების, სამომავლო სამოქმედო გეგმის, გადაუდებელი არქეოლოგიის და ძეგლის სრულყოფილი კვლევის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას ეხებოდა, მოულოდნელად სულ სხვა მიმართულებით შეიცვალა და, საბოლოოდ, ობიექტზე არსებულ რთულ საინუინრო-გეოლოგიურ მდგომარეობამდე მივიდა. **სამწუხაროდ, ამ მიმოწერის დროს პასუხგაუცემელი დარჩა კითხვა, თუ როდიდან გახდა საყდრისი-ყაჩალიანში არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის სახიფათო, ასევე – რამ გამოიწვია საყდრისი-ყაჩალიანში მდგომარეობის გართულება. დღემდე უცნობია, იყო თუ არა ეს ყველაფერი, როგორც "RMG-Gold"-ის მოქმედების, ასევე სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს არაეფექტური და არათანმიმდევრული პოლიტიკის შედეგი.**

5. სამინისტროში გამართული „მრგვალი მაგიდიდან“ საყდრისი-ყაჩალიანის აუთენტიკაზე

2014 წლის 4 აპრილს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მოეწყო მრგვალი მაგიდა სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონაწილეობით, სადაც განხილული იყო ადმინისტრაციული ხელშეკრულება აღნიშნულ უწყებებს შორის. ხელშეკრულების მიხედვით, სამინისტრო კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით გარკვეული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის უფლებამოსილების დელეგირებას სააგენტოზე ახდენდა. ამავე დროს, სამინისტრო იტვებდა მაკონტროლებელი და კულტურის პოლიტიკის წარმმართველი უწყების უფლებას.³⁸ საბოლოოდ, სამინისტროსა და სააგენტოს შორის შესაბამისი ადმინისტრაციული ხელშეკრულება 2014 წლის 8 აპრილს გაფორმდა და სამინისტრომ სააგენტოს შემდეგი უფლებამოსილები გადასცა:

1. ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება და მოხსნა სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დასკვნის საფუძველზე, ხოლო ქ. თბილისის ტერიტორიაზე – სამინისტროსათვის წინადადებების წარდგენა, საქართველოს მთავრობის სხდომაზე აღნიშნული საკითხების ინიცირების მიზნით;
2. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონის ან მისი შემადგენელი არეალის გაფართოება;
3. ობიექტის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანისა და სიიდან ამორიცხვის უფლებამოსილება;
4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შეთანხმება;
5. ისტორიული განაშენიანების ზონაში, ისეთი ტერიტორიის განაშენიანებაზე, რომელიც ისტორიულად არ ყოფილა განაშენიანებული, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, თანხმობის გაცემა;
6. საქართველოს მთელს ტერიტორიაზე კარიერის დამუშავებაზე და სასარგებლო ნიაღისეულის მოპოვების, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის შესახებ დასკვნის გაცემა;
7. უძრავი არქეოლოგიური ობიექტის აღების (დაშლის) საკითხის შეთანხმება;
8. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად, ყველა სახის საქმიანობის შეჩერება, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კულტურულ მემკვიდრეობას.³⁹

სააგენტოსთვის გადაცემული ზემოთ აღნიშნული უფლებამოსილებიდან, №1, №3 და №7 უფლებამოსილების გამოყენებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ 2014 წლის 12 დეკემბერს მიიღო ის გადაწყვეტილებები, რაც მომდევნო დღის დღილით საყდრისი-ყაჩალიანის აფეთქებით დასრულდა.⁴⁰ მივყვეთ სამინისტროსა და სააგენტოს შორის ადმინისტრაციული ხელშეკ-

³⁸ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 4 აპრილის განცხადება <http://www.culture.gov.ge/topicdetails-1.10392.html>;

³⁹ 2014 წლის 8 აპრილის ადმინისტრაციული ხელშეკრულება #1. მხარეები: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. შუბლი 1;

⁴⁰ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის #2/271 ბრძანება; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის #03/266 ბრძანება; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის #05/09/1857 კორესპონდენცია;

რულების გაფორმების შემდეგ განვითარებულ მოვლენებს:

- 2014 წლის 6 მაისს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულება დამტკიცდა;⁴¹
- დებულების თანახმად, საბჭო, რომელიც რვა დარგობრივი სექციისგან შედგება, სააგენტოს გენერალური დირექტორის სათათბირო ორგანოდ გამოცხადდა. სექციების დაკომპლექტება ექსკლუზიურად სააგენტოს გენერალური დირექტორის უფლებამოსილებას განეკუთვნა. თითოეული სექციის შემადგენლობა არანაკლებ ხუთი წევრით, ხოლო სექციის უფლებამოსილების ვადა – სააგენტოს მიერ საბჭოს სექციის შემადგენლობის ხელახალ დამტკიცებამდე განისაზღვრა. ამდენად, სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა მიიღო ექსკლუზიური უფლება, თავად დაეკომპლექტებინა საბჭოს სექციები და, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი შეხედულებისამებრ შეეცვალა შემადგენლობა.⁴² **მოგვიანებით, საყდრისი-ყაჩალიანთან დაკავშირებით, მაღალი ალბათობით, ასეც მოხდა.**
- სააგენტოს სისტემაში არსებული საბჭოს – სტრატეგიული საკითხების სექცია, რომელმაც 2014 წლის 12 დეკემბერს მიღებული სარეკომენდაციო ძალის გადაწყვეტილებით, მნიშვნელოვნად განაპირობა საყდრისი-ყაჩალიანის მომავალი, თავდაპირველად შემდეგი შემადგენლობით განისაზღვრა:
 - ბესიკ მაცაბერიძე – (სექციის თავმჯდომარე) ხელოვნებათმცოდნე. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციის და ნებართვების დეპარტამენტის დირექტორი;
 - გიორგი გაგოშიძე – ხელოვნებათმცოდნე. სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა-დოკუმენტირების სამსახურის უფროსი;
 - დავით ხოშტარია – ხელოვნებათმცოდნე;
 - გიორგი ჭანიშვილი – ხელოვნებათმცოდნე;
 - ნიკოლოზ ზაზუნაშვილი – არქიტექტორი. სააგენტოს სანებართვო პირობების კონტროლის განყოფილების უფროსი სპეციალისტი.⁴³

2014 წლის 11 ივნისს სტრატეგიულ საკითხების სექციას კიდევ ერთი წევრი წევრი – სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა-დოკუმენტირების სამსახურის უფროსი სპეციალისტი ეკაკაჭარავა (ისტორიკოსი) დაემატა.⁴⁴

მოგვიანებით, მოვლენები კიდევ უფრო სწრაფად განვითარდა. 2014 წლის 24 ნოემბერს, სააგენტოს გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ხელმოწერით, ძალაში შევიდა ბრძანება, რომლის თანახმადაც, საფუძვლიანად შეიცვალა სტრატეგიული საკითხების სექციის შემადგენლობა.⁴⁵ საყდრისი-ყაჩალიანის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე 14 სამუშაო დღით ადრე სააგენტოს სტრატეგიული საკითხების სექციის შემადგენლობა შემდეგნაირად დაკომპლექტდა:

- კახა ტრაპაიძე – (სექციის თავმჯდომარე) კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტი;
- ბესიკ მაცაბერიძე – ხელოვნებათმცოდნე. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციის და ნებართვების დეპარტამენტის დირექტორი;
- გიორგი გაგოშიძე – ხელოვნებათმცოდნე. სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა-დოკუმენტირების სამსახურის უფროსი;
- თეიმურაზ ბიბილური – არქეოლოგი;
- გიორგი ჭანიშვილი – ხელოვნებათმცოდნე;

⁴¹ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 6 მაისის #2/56 ბრძანება;

⁴² საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 6 მაისის #2/56 ბრძანება; დანართი #1;

⁴³ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 6 მაისის #2/56 ბრძანება; დანართი #6;

⁴⁴ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 11 ივნისის #2/108 ბრძანება და დანართი;

⁴⁵ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 24 ნოემბრის #2/238 ბრძანება;

- ნიკოლოზ ზაზუნაშვილი – არქიტექტორი. სააგენტოს სანებართვო პირობების კონტროლის განყოფილების უფროსი;
- შალვა მელიქაძე – არქიტექტორ-რესტავრატორი.⁴⁶

ამრიგად, სააგენტოს გადაწყვეტილებით, განახლებულ სექციაში, რომლის შემადგენლობაც 7 წევრამდე გაიზარდა, ძველი შემადგენლობიდან ვეღარ მოხვდნენ დავით ხოშტარია და ეკა კაჭარავა, ხოლო სექციის ახალი წევრები გახდნენ კახა ტრაპაიძე (სექციის თავმჯდომარის სტატუსით), თეიმურაზ ბიბილური და შალვა მელიქაძე. სწორედ ახალი წევრების პოზიციამ შეასრულა გადამწყვეტი როლი 2014 წლის 12 დეკემბერს გამართულ სხდომაზე, სადაც საყდრისი-ყაჩალიანისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნის თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა მიღებულიყო.

სექციის 7 წევრიდან 2014 წლის 12 დეკემბერს გამართულ სხდომას 6 წევრი ესწრებოდა. სხდომა, რომელზეც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის – „საყდრისი-ყაჩალიანის უძველესი ოქროს მაღაროსთვის“ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის საკითხს განიხილავდნენ და რომელსაც, სექციის წევრებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, უშუალოდ ესწრებოდა სააგენტოს გენერალური დირექტორი, შემდეგი შედეგით დასრულდა:

საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიური ობიექტისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის საკითხს დადებითი შეფასება მისცეს: კახა ტრაპაიძემ, ბესიკ მაცაბერიძემ, თეიმურაზ ბიბილურმა და შალვა მელიქაძემ. უარი თქვეს: გიორგი ჭანიშვილმა და ნიკოლოზ ზაზუნაშვილმა.⁴⁷

საბოლოოდ, სექციამ ხმათა უმრავლესობით დაადგინა, რომ: „ვინაიდან საყდრისის ობიექტი ისეა დაზიანებული, რომ შეუძლებელია მისი ისტორიული/კულტურული ღირებულების აღდგენა/შენარჩუნება, ასევე, დაკარგული აქვს ის ძირითადი მახასიათებლები, რის გამოც მას მიერიჭა ძეგლის სტატუსი, საბჭო რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს – „საყდრისი-ყაჩალიანის უძველესი ოქროს მაღარო“ – მოხესნას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.“⁴⁸

ზემოთ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოები მოწმობს, რომ რეალურად საყდრისი-ყაჩალიანისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის საკითხი სექციის ახალი წევრების პოზიციამ გადაწყვიტა. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტოს გენერალური დირექტორი დამოუკიდებლად აკომპლექტებს საბჭოს სექციების შემადგენლობას და ნებისმიერ დროს შეუძლია, შეცვალოს წევრთა შემადგენლობა, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ სექციის ახალი წევრების შერჩევა საყდრისი-ყაჩალიანთან დაკავშირებული „დილემის“ მოგვარების მიზნით შეიძლებოდა მომზადარიყო.

მთლიანობაში, საყდრისი-ყაჩალიანის საკითხზე სააგენტოს სისტემაში არსებული საბჭოს და შესაბამისი სექციის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად აჩვენა, რომ საბჭო და მასთან დაკავშირებული საკითხები სისტემური პრობლემის ნაწილია და „კანონის სახელით“ მიღებული გადაწყვეტილებებით, შესაძლოა, ნებისმიერმა ძეგლმა გაიზიაროს საყდრისი-ყაჩალიანის ბედი.

⁴⁶ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 24 ნოემბრის #2/238 ბრძანება და დანართი;

⁴⁷ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის 2014 წლის 12 დეკემბრის სხდომის ოქმი (ამონაწერი);

⁴⁸ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის 2014 წლის 12 დეკემბრის სხდომის ოქმი (ამონაწერი);

6. მარგოტინის დასკვნეა

მას შემდეგ, რაც “RMG-Gold”-მა 2014 წლის 13 დეკემბერს საყდრისი-ყაჩალიანი ააფეთქა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობა სხვადასხვა მედია საშუალებაში ხშირად ახსენებდა იტალიელი გეოლოგის, პროფესორ კლაუდიო მარგოტინის მიერ, საყდრისი-ყაჩალიანის გვირაბებში ქანების მდგომარეობის სტაბილურობის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-შეფასების მიზნით, მომზადებულ დოკუმენტს.

ოფიციალური ინფორმაციით, 2014 წლის 12 ნოემბერს სააგენტოსა და პროფესორ მარგოტინს შორის, გამარტივებული შესყიდვის წესით, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა.⁴⁹ სახელმწიფო ხელშეკრულების გამარტივებული წესით გაფორმებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ თავიდანვე გამორიცხა შესაბამისი ექსპერტის კონკურენტული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე შერჩევის შესაძლებლობა და სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა პრაქტიკულად დამოუკიდებლად გადაწყვიტა, თუ ვისთან უნდა გაფორმებულიყო კონტრაქტი.

ხელშეკრულების თანახმად, პროფესორ მარგოტინს საყდრისი-ყაჩალიანის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-შეფასება და შესაბამისი დასკვნა უნდა მოემზადებინა. აღნიშნული ვალდებულების შესრულების ვადად იმავე წლის 9 დეკემბრამდე პერიოდი განისაზღვრა, ხოლო ხელშეკრულების ღირებულებამ 25,000 ლარი შეადგინა.⁵⁰

კლაუდიო მარგოტინის მიერ ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული კვლევა 2014 წლის 5 დეკემბრით თარიღდება. დოკუმენტი საკმაოდ დიდი მოცულობისაა და მისი შეფასება სპეციალურ ცოდნას საჭიროებს, თუმცა, უაღრესად საგულისხმოა მარგოტინის მიერ მომზადებული კვლევის დასკვნითი ნაწილი, რომლის მე-7 პუნქტშიც ცალსახად არის მითითებული, რომ - „**გვირაბის გათხრა ვერ განხორციელდება ადეკვატური საყრდენების, როგორიცაა ტორქეტი ბეტონის საყრდენები ან სამაგრები, გამოყენების გარეშე.**“⁵¹ ამდენად, გამოდის, რომ გარკვეული ზომების მიღების შემთხვევაში, საყდრისი-ყაჩალიანის გათხრა სრულებით შესაძლებელი იქნებოდა. თუმცა, როგორც ჩანს, იტალიელი პროფესორის კვლევის დასკვნით ნაწილში აღნიშნული ეს ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში „ვერ შეამჩნიეს“ და პროფესორის კვლევა სულ სხვა მიზნებისთვის, კერძოდ, 2014 წლის 12 დეკემბერს საყდრისი-ყაჩალიანის ძეგლის სტატუსის გარეშე დასატოვებლად გამოიყენეს.

საქართველოს კანონმდებლობით, ცალსახად არის განსაზღვრული, თუ როდის შეიძლება ძეგლისთვის სტატუსის მოხსნა. რთულ საინჟინრო გეოლოგიურ მდგომარეობას, როგორც ძეგლისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნის საფუძველს, საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს.⁵²

საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, პროფესორ მარგოტინთან ხელშეკრულების გაფორმებიდან ექვსი დღის შემდეგ, “RMG-Gold”-ის შეკვეთით, ზურაბ ვარაზაშვილის და გურამ ხომერიეს მიერ საყდრისი-ყაჩალიანთან დაკავშირებით მომზადებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა პქონდა.⁵³ თუმცა, სააგენტო, ნაცვლად იმისა, რომ საყდრისი-ყაჩალიანის გადარჩენაზე ეზრუნა და შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვა სწორედ ამ მიზნით ეწარმოებინა, სრულებით საპირისპირო მიმართულებით წავიდა. **სამწუხაროდ, მთელი ეს პროცესი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო დამატებით არგუმენტებს ეძებდა იმისთვის, რომ საყდრისი-ყაჩალიანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის გარეშე დაეტოვებლად გამოიყენეს.**

⁴⁹ 2014 წლის 12 ნოემბრის ხელშეკრულება #4/96 გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და პროფესორი კლაუდიო მარგოტინი;

⁵⁰ 2014 წლის 12 ნოემბრის ხელშეკრულება #4/96 გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და პროფესორი კლაუდიო მარგოტინი;

⁵¹ საყდრისი-ყაჩალიანის გვირაბებში ქანების მდგომარეობის სტაბილურობის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა - შეფასება. პროფესორი, გეოლოგი კლაუდიო მარგოტინი. 2014 წლის 5 დეკემბერი.

⁵² საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. მუხლი 17;

⁵³ შპს “RMG-Gold”-ის 2014 წლის 18 ნოემბრის #1344 კორესპონდენცია;

7. 2014 წლის 12 დეკემბერი

მოვლენათა განვითარების ქრონოლოგია და ლოგიკური ბმა ერთი სამუშაო დღის განმავლობაში დადგა თავდაყირა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, საყდრისი-ყაჩალიანთან დაკავშირებით, 2014 წლის 12 დეკემბერს ჯამში 17 ისეთი მოქმედება განახორციელეს, რასაც მოჰყვა 4 გადაწყვეტილების მიღება. სამართლებრივი და ქრონოლოგიური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, 12 დეკემბრის დროის რა მონაკვეთში ხდებოდა მოქმედებების შესრულება და გადაწყვეტილებების მიღება. ქვემოთ სწორედ ის ინფორმაციაა წარმოდგენილი, რომელიც 17 მოქმედებასა და 4 გადაწყვეტილებას ეხება.

2014 წლის 12 დეკემბერს 12:55 საათზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შპს „RMG Gold“-ის წერილობით განცხადება შევიდა.⁵⁴ **განცხადების თანახმად, კომპანიამ, საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიური ობიექტის დაშლის მიზნით, კანონით გათვალისწინებული თანხმობის მიღება ითხოვა.**⁵⁵

„RMG Gold“-ის ზემოთ აღნიშნული განცხადება, სამინისტროში დარეგისტრირებიდან უმოკლეს დროში, 11 წუთის შემდეგ, 13:06 საათზე,⁵⁶ მინისტრის მოადგილის ხელმოწერით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში გადაიგზავნა.⁵⁷ უცნობია, თუ როგორ აღმოჩნდა განცხადება რეგისტრაციისთანავე მინისტრის მოადგილესთან და რეგისტრაციიდან 11 წუთში სააგენტოში როგორ გადაიგზავნა. როგორც ჩანს, მინისტრის მოადგილე წინასწარ იყო ინფორმირებული „RMG Gold“-ის განცხადების შესახებ და სამინისტროს კანცელარიაშივე ელოდებოდა კერძო კომპანიის განცხადების დარეგისტრირებას. არადა, რეალურად, „RMG Gold“-ის განცხადებას სამინისტროდან სააგენტოში გადაგზავნამდე გარკვეული პროცედურები უნდა გაევლო და, საჯარო სამსახურში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მინისტრის მოადგილეს მხოლოდ ხელი უნდა მოეწერა დოკუმენტზე, ხოლო განცხადების გადაგზავნის თაობაზე კორესპონდენცია სამინისტროს შესაბამის სამსახურებს უნდა მოემზადებინა. საიას ხელთ არსებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, სამინისტროდან სააგენტოში „RMG-Gold“-ის 12 დეკემბრის განცხადების გადაგზავნის თაობაზე კორესპონდენციის მომზადების პროცესში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი და აღმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველო იყო ჩართული.⁵⁸ ეს ფაქტი კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს, თუ რეალურად როგორ მოახერხა სამინისტრომ, რომ განცხადების რეგისტრაციიდან 11 წუთში „RMG-Gold“-ის განცხადება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში გადაგზავნა.

საიას მცდელობის მიუხედავად, ამ დრომდე უცნობი რჩება, თუ როდის დარეგისტრირდა სააგენტოში სამინისტროდან გადაგზავნილი განცხადება. ასევე უცნობია, თუ რომელ საათზე დაიწყო და დასრულდა სააგენტოს სისტემაში შემავალი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგიულ საკითხთა სექციის სხდომა.⁵⁹ სააგენტოს ინფორმაციით, ის რეგულაციები, რომლებსაც სააგენტო საქმისწარმოების მიზნით იყენებს, არ ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სექციების სხდომის ოქმებზე სხდომის დაწყების და დასრულების დროის მითითებას.⁶⁰ თუმცა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოსთან დაკავშირებით სულ სხვა მოთხოვნებს ითვალისწინებს.⁶¹

მოვლენათა ქრონოლოგიას თუ გავყებით, იმავე დღეს, 2014 წლის 12 დეკემბერს სააგენტოში მონვეული იქნა კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის სხდომა.⁶² სხდომაზე განსახილველად, დღის წესრიგის მიხედვით, გამოტანილი იყო ერთადერთი საკითხი:

„საყდრისი-ყაჩალიანის უძველესი ოქროს მაღაროსათვის“ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის საკითხის განხილვა.

რეალურად, კომპანიას სულაც არ უთხოვია, რომ საყდრისი-ყაჩალიანისთვის ძეგლის სტატუსი მოეხსნათ. „RMG-Gold“-ის მოთხოვნა მხოლოდ, საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიური ობიექტის დაშლის

⁵⁴ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 23 იანვრის #11/11-379 კორესპონდენცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 12 დეკემბრის საქმისწარმოების რეესტრის ასლი;

⁵⁵ „RMG-Gold“-ის 2014 წლის 12 დეკემბრის #445/1 განცხადება;

⁵⁶ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 23 იანვრის #11/11-379 კორესპონდენცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 12 დეკემბრის საქმისწარმოების რეესტრის ასლი;

⁵⁷ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 12 დეკემბრის #05/05-5968 კორესპონდენცია;

⁵⁸ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2015 წლის 5 თებერვლის #11/11-598 კორესპონდენცია;

⁵⁹ საიას 2015 წლის 6 იანვრის #B-04/553-15 განცხადება;

⁶⁰ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 6 აპრილის #10/09/589 კორესპონდენცია;

⁶¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 27 «ბ» პუნქტი, მუხლი 34;

⁶² საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის 2014 წლის 12 დეკემბრის სხდომის ოქმი (ამონაწერი);

მიზნით, კანონით გათვალისწინებული თანხმობის მიღებას ეხებოდა.⁶³ ამდენად, სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა თავად გამოიჩინა ინციდენტიგა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის სტატუსის მქონე ოპერტად დარჩენა-არდარჩენის საკითხი განხილვის საგანი გამზღვიყოფა.⁶⁴

სტრატეგიულ საკითხთა სექციამ, რომლის სხდომაც, რა თქმა უნდა, იმავე დღეს, 2014 წლის 12 დეკემბერს გაიმართა და რომელსაც სექციის ექვსი ნევრი ესწრებოდა, ოთხი ხმით ორის წინააღმდეგ სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილება მიიღო. კერძოდ, სექციის ოთხმა წევრმა საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნას დაუჭირა მხარი. ⁶⁵ საყურადღებოა, რომ სექციის იმ ოთხი წევრიდან, რომლებმაც საყდრისი-ყაჩაღიანისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნას დაუჭირეს მხარი, სამი მათგანი საკითხის გადაწყვეტამდე მცირე ხნით აღრე, 2014 წლის 24 ნოემბერს გახდა სექციის წევრი.⁶⁶ შესაბამისად, სრულებით შესაძლებელია, რომ სტრატეგიული საკითხების სექციის შემადგენლობის განახლება სპეციალურად საყდრისი-ყაჩაღიანზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით იყო მიღებული.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის გადაწყვეტილებას, მისი სარეკომენდაციო ხასიათიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა მნიშვნელობა, თუ სააგენტოს გენერალური დირექტორი სექციის გადაწყვეტილებას გაითვალისწინებდა და საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის სტატუსს მოუსწოდა. სააგენტოს გენერალურ დირექტორის ერთი სამუშაო დღეც კი არ დასჭირდა იმისათვის, რომ სექციის მიერ მიწოდებულ სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებაზე საბოლოო, იურიდიული ძალის მქონე გადაწყვეტილება მიეღო. შედეგად, 2014 წლის 12 დეკემბერს სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა გამოსცა ბრძანება და საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მოუხსნა.⁶⁷

2014 წლის 12 დეკემბერი საყდრისი-ყაჩაღიანისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნით არ დასრულებულა. იმავე დღეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ გენერალური დირექტორის ბრძანება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაუგზვნა და, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებაში ცვლილების შეტანის მიზნით, შემდგომი რეაგირება ითხოვა.⁶⁸ სააგენტოს ბრძანება სამინისტროში ოფიციალური სამუშაო საათების დასრულების შემდეგ – 18:30 საათზე დარეგისტრირდა.⁶⁹ სააგენტოს ბრძანება ბოლო დოკუმენტი აღმოჩნდა, რომელიც 2014 წლის 12 დეკემბერს შემოსული კორესპონდენციის სახით სამინისტროში იქნა დარეგისტრირებული.⁷⁰

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ზემოთ აღნიშნულ ბრძანებაზე რეაგირებისთვის, ამჯერად სულ რაღაც 39 წელი დასჭირდა.⁷¹ შესაბამისად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა 2014 წლის 12 დეკემბერს 39 წუთში ჩატარი ყველანაირი ფორმალობა, რაც სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით აღმინისტრაციულ წარმოებას ახლავს თან და ბრძანების საფუძველზე გადაწყვიტა, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების დანართის რიგით №2042 (საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი) ბათილად უნდა გამოცხადებულიყო.⁷² აღნიშნული ბრძანება სამინისტრომ 19:09 საათზე სააგენტოს გაუგზავნა, ხოლო 19:20 საათზე – საკანონმდებლო მაცნეს.⁷³

⁶³ "RMG-Gold"-ის 2014 წლის 12 დეკემბრის #445/1 განცხადება;

⁶⁴ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის 2014 წლის 12 დეკემბრის სხდომის ოქმი (ამონაწერი);

⁶⁵ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის 2014 წლის 12 დეკემბრის სხდომის ოქმი (ამონაწერი);

⁶⁶ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 24 ნოემბრის #2/238 ბრძანება;

⁶⁷ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის #2/271 ბრძანება;

⁶⁸ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის #05/09/1857 კორესპონდენცია;

⁶⁹ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 23 იანვრის #11/11-379 კორესპონდენცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 12 დეკემბრის საქმისწარმოების რეესტრის ასლი;

⁷⁰ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 23 იანვრის #11/11-379 კორესპონდენცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 12 დეკემბრის საქმისწარმოების რეესტრის ასლი;

⁷¹ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 23 იანვრის #11/11-379 კორესპონდენცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 12 დეკემბრის საქმისწარმოების რეესტრის ასლი;

⁷² საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის #03/266 ბრძანება;

⁷³ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 23 იანვრის #11/11-379 კორესპონდენცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 12 დეკემბრის საქმისწარმოების რეესტრის ასლი;

საბოლოოდ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ 2014 წლის 12 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიური ობიექტის დაშლის (აღების) თაობაზე და, წერილობითი სახით მომზადებული დოკუმენტის საფუძველზე, „RMG-Gold”-ს აცნობა, რომ სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანების ძალაში შესვლის მომენტიდან კომპანიას არქეოლოგიური ობიექტის აღების (დაშლის) თანხმობა ეძღვოდა.⁷⁴ ამასთან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის ის ბრძანება, რომელიც არქეოლოგიური ობიექტის დაშლის (აღების) თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას უსწრებდა წინ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოსაქვეყნებლად 20:13 საათზე დაარეგისტრირა.⁷⁵

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საიას მცდელობა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან სრულად მიეღო სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის საქმის წარმოების რეესტრის ასლი, უშედეგო აღმოჩნდა.⁷⁶ სასამართლოში სარჩელის შეტანის შემდეგ მოწოდებულ ინფორმაციაში მხოლოდ სააგენტოში 2014 წლის 12 დეკემბერს სხვადასხვა პირის მიერ წარდგენილი კორესპონდენციებია მითითებული, ხოლო სააგენტოდან გასული კორესპონდენციების რეესტრის ასლი სააგენტოს არ მოუწოდებია.⁷⁷ შესაბამისად, უცნობია, სინამდვილეში როდის მომზადდა და როდის გადაეცა „RMG-Gold”-ს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც, კომპანიას საყდრისი-ყაჩალიანის, როგორც არქეოლოგიური ობიექტის, დაშლის (აღების) უფლება ენიჭებოდა.⁷⁸

მოგვიანებით, 2015 წლის 18 მაისით დათარიღებულ კორესპონდენციაში სააგენტომ აღნიშნა, რომ: „წლების მანძილზე დაწყვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით, არ ხდება სააგენტოდან გასული წერილების ცალკე რეესტრის წარმოება.“⁷⁹ როგორც ჩანს, სააგენტოსთვის „დაწყვიდრებული პრაქტიკა“ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. ასევე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ის ფაქტი, რომ საყდრისი-ყაჩალიანთან დაკავშირებით 2014 წლის 12 დეკემბერს სააგენტოში მომზადებულ ორ სხვადასხვა დოკუმენტის ერთი და იგივე სარეგისტრაციო ნომერი მიენიჭა, ეს მხოლოდ „ტექნიკური ხარვეზი“ ყოფილა და სარეგისტრაციო უურნალში „მექანიკურად“ გაკეთებული მითითების გამო მომხდარა.⁸⁰

ცალსახაა, რომ 2014 წლის 12 დეკემბერს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიური ობიექტის დაშლის (აღების) თაობაზე გადაწყვეტილებას იმ დრომდე ვერ მიღებდა, სანამ ძალაში არ შევიდოდა სააგენტოს გენერალური დირექტორის და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ის ბრძანებები, რომელთა საფუძველზეც საყდრისი-ყაჩალიანი ძეგლის სტატუსის გარეშე დარჩა.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანება საკანონმდებლო მაცნეს 2014 წლის 12 დეკემბერს 20:53 საათზე წარედგინა, ხოლო სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანება – 20:13 საათზე. თავის მხრივ, საკანონმდებლო მაცნემორივე ბრძანება იმავე დღეს 21:27 საათზე გამოაქვეყნა.⁸¹

ამდენად, ცალსახაა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიური ობიექტის დაშლის (აღების) თაობაზე გადაწყვეტილებას 2014 წლის 12 დეკემბრის 21:27 საათზე ადრე ვერ მიღებდა.

მთლიანობაში, 2014 წლის 12 დეკემბერს სამინისტრომ და სააგენტომ ძალიან მოინდომეს და საყდრისი-ყაჩალიანთან დაკავშირებით, უაღრესად საეჭვო გარემოებებში, 17 ისეთი მოქმედება განახორციელეს, რომლის შედეგადაც 4 მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

ზემოთ აღნიშნული 17 მოქმედება და 4 გადაწყვეტილება ინფორმაციის სახით შემდეგნაირად შეიძლება გამოვსახოთ:

⁷⁴ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის #05/09/1857 კორესპონდენცია;

⁷⁵ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს 2015 წლის 21 იანვრის #15/გ-40 კორესპონდენცია;

⁷⁶ საიას 2015 წლის 6 იანვრის #გ-04/553-15 განცხადება;


⁷⁷ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 6 აპრილის #10/09/589 კორესპონდენცია;

⁷⁸ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის #05/09/1857 კორესპონდენცია;

⁷⁹ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 18 მაისის #10/09/889 კორესპონდენცია;

⁸⁰ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 18 მაისის #10/09/889 კორესპონდენცია;

⁸¹ სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს 2015 წლის 21 იანვრის #15/გ-40 კორესპონდენცია;



ერთი დღის განმავლობაში განხორციელებული 17 მოქმედების და 4 გადაწყვეტილების შედეგად, 2014 წლის 13 დეკემბერს “RMG-Gold”-მა არქოლოგიური ობიექტის დაშლის (აღების) სახელით საყრდისი-ყაჩაღიანი უკანონოდ ააფეთქა.

8. 2014 წლის 13 დეკემბერი – დიდი ავათავიდან დღემდე

2014 წლის 13 დეკემბერი საყდრისი-ყაჩალიანის აფეთქებით დაიწყო. თავი რომ დავანებოთ საყდრისი-ყაჩალიანის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ირგვლივ განვითარებული მოვლენების კანონთან შესაბამისობას, ცალკე უნდა განვიხილოთ აფეთქების, როგორც უფლების დასაშვებობა შპს „RMG-Gold“-ის მხრიდან.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფლებამოსილებას განეკუთვნება სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვის გაცემა და სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი. ასევე, ამავე სააგენტოს უფლებამოსილებას წარმოადგენს, აკრედიტირებული საინსპექციო ორგანოების შექმნამდე, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება ისეთ საზედამხედველო ობიექტებზე, როგორიცაა: კარიერი, მაღარო და შატეტი, სასარგებლო წილის მექანიზებული წესით მოპოვების შემთხვევაში.⁸² თუმცა, საის ხელთ არსებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, „RMG-Gold“-ს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის, 2014 წლის 13 დეკემბერს საყდრისი №1 ყაჩალიანის უბანზე აფეთქების განხორციელების მიზნით, არ მიუმართავს.⁸³

ამასთან, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ საიასთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, ცნობილი ხდება, რომ შპს „RMG-Gold“-ის კუთვნილ კარიერებზე სამუშაოებს ს/ს „RMG-Copper“-ი ანარმოებს. თავის მხრივ, სააგენტოს, „RMG-Gold“-ის კუთვნილ კარიერებზე სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების მიზნით, „RMG-Copper“-ზე სულ ხუთი ნებართვა აქვს გაცემული.⁸⁴

2014 წლის 13 და 18 ნოემბრის ნებართვები საყდრისის ოქროს შემცველი კვარციტული ქანების საბადოს კარიერის მე-3, მე-4 და მე-5 უბნებს ეხება. შესაბამისად, აღნიშნული ნებართვების საფუძველზე, 2014 წლის 13 დეკემბერს, „RMG-Gold“-ი საყდრისის ოქროს შემცველი კვარციტული ქანების საბადოს კარიერის №1 – ყაჩალიანის უბანზე აფეთქებას ვერ განახორციელებდა.⁸⁵

2014 წლამდე, 2012 წელს, „RMG-Copper“-ის სახელზე 10 ოქტომბრით დათარიღებული №000125 და №000126 ნებართვები იყო გაცემული. ორივე შემთხვევაში, ნებართვის გაცემა კომპანიის საფირმო სახელწოდების ცვლილების გამო, 2011 წელს გაცემულ ნებართვაში ცვლილების შეტანის მიზნით განხორციელდა.⁸⁶ იმის გათვალისწინებით, რომ საყდრისი-ყაჩალიანი ძეგლის სტატუსის გარეშე პირველად 2013 წლის 5 ივლისს გამოცემული ბრძანების საფუძველზე აღმოჩნდა,⁸⁷ ზემოხსენებული ორი ნებართვა ვერ გახდებოდა საყდრისის №1 ყაჩალიანის უბანზე 2014 წლის 13 დეკემბერს განხორციელებული აფეთქების საფუძველი.

რაც შეეხება 2015 წლის 6 იანვარს გაცემულ ნებართვას, მიუხედავად იმისა, რომ იგი საყდრისის ოქროს შემცველი კვარციტული ქანების საბადოს კარიერის №1 ყაჩალიანის უბანს ეხება, ვერ გავრცელდება დროში გაცილებით ადრე, 2014 წლის 13 დეკემბერს, განხორციელებულ აფეთქებაზე.⁸⁸

გამომდინარე აქედან, 2014 წლის 13 დეკემბერს შპს „RMG-Gold“-ს საყდრისის ყაჩალიანის №1 სალიცენზიონ უბანზე (აღნიშნული უბანი მოიცავდა/მოიცავს არქეოლოგიურ ობიექტს – საყდრისი-ყაჩალიანის უძველესი ოქროს მაღარო) განხორციელებული აფეთქების დროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსგან მიღებული შესაბამისი ნებართვა არ ჰქონდა.

არქეოლოგიურ ობიექტზე ნებისმიერი სახის სამუშაოების წარმოება არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გარეშე, ან არქეოლოგიურ ობიექტზე განზრას ზემოქმედება, რამაც მისი დაზიანება ან განაცდგურება გამოიწვია, ან რის შედეგადაც ვერ ხერხდება მისი დათარიღება, იდენტიფიცირება და მასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას წარმოადგენს. შესაბამისად, ზემოთ მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით, საიამ 2015 წლის 24 აპრილს ოფიციალური განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და გამოძიების დაწყებისკენ მოუწოდა.⁸⁹

⁸² საქართველოს კონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის #1-1/1527 ბრძანება – სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ;

⁸³ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2015 წლის 16 მარტის #353/01-21/შ კორესპონდენცია;

⁸⁴ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2015 წლის 17 აპრილის #09/68 კორესპონდენცია;

⁸⁵ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2015 წლის 16 მარტის #353/01-21/შ კორესპონდენცია; 2014 წლის 13 და 18 ნოემბრის #000181 და #000182 სამრწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვები;

⁸⁶ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2015 წლის 16 მარტის #353/01-21/შ კორესპონდენცია; 2012 წლის 10 ოქტომბრის #000125 და #000126 სამრწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვები;

⁸⁷ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის #03/108 ბრძანება;

⁸⁸ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2015 წლის 16 მარტის #353/01-21/შ კორესპონდენცია; 2015 წლის 6 იანვრის #000189 სამრწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვა;

⁸⁹ საიამ 2015 წლის 24 აპრილის #8-01/286-15 განცხადება;

საიას განცხადებას იმავე დღეს გამოეხმაურა „RMG-Gold“-ი და 2014 წლის 13 დეკემბერს საყდრისის ყაჩაბანის №1 სალიცენზიონ უბანზე განხორციელებული აფეთქების ნებართვის არარსებობა დაადასტურა.⁹⁰ კომპანიის მოსაზრებით, ნებართვის არარსებობის პირობებში აფეთქების განხორციელება წარმოადგენდა არა სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას, არამედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და „RMG-Gold“-ს, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს გადაწყვეტილებით, 2014 წლის 19 დეკემბერს დაეკისრა კიდეც შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.⁹¹ თუმცა, კომპანიას მხედველობის მიღმა „დარჩა“ ის გარემოება, რომ 2014 წლის 13 დეკემბერს საყდრისის №1 ყაჩაბანის უბანზე აფეთქების დროს მან არა უბრალოდ უნდართვო აფეთქება განახორციელა, არამედ საყდრისი-ყაჩაბანის არქეოლოგიური ობიექტი ააფეთქა. ხოლო „RMG-Gold“-ის მხრიდან აპელირება იმაზე, რომ კომპანიას არქეოლოგიური ობიექტის დაშლის (აღების) უფლება ჰქონდა და, ამ მიზნით, მან აფეთქება განახორციელა და სპეციული გამოიყენა, თავისითავად ვერ გამოდგება არგუმენტად, რადგანაც არქეოლოგიური ობიექტის დაშლის (აღების) თაობაზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლის 12 დეკემბერს გაცემული თანხმობა აფეთქების შესაძლებლობას არ ითვალისწინებდა.⁹²

აფეთქების ტექნიკურ მხარესთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ მოახერხა „RMG-Gold“-მა, რომ 2014 წლის 13 დეკემბრის დადგომიდან დროის მცირე მონაცემში, დამის საათებში, ყველა ის სამუშაო შესარულებინა, რომელიც აფეთქებას უძლოდა წინ. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ სავარაუდოდ, მაღალი ალბათობით, კომპანიამ აფეთქების წინა მოსამზადებელი სამუშაოები გაცილებით ადრე შეასრულა, ვიდრე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო „RMG-Gold“-ს არქეოლოგიური ობიექტის დაშლის (აღების) თანხმობას მისცემდა.

8.1. მონიტორინგის საკითხები

2014 წლის 13 დეკემბრიდან მოყოლებული „RMG-Gold“-ი მუდმივად აცხადებდა, რომ მისი მხრიდან საყდრისი-ყაჩაბანში ადგილი ჰქონდა არქეოლოგიური ობიექტის დაშლა-აღებას. თუმცა, წიაღის მომპოვებელი კომპანიის მხრიდან ისე ხდებოდა არქეოლოგიური ობიექტის ე.წ. „დაშლა-აღება“, რომ მას დიდი ხნის განმავლობაში არქეოლოგები არათუ არ დასწრებიან, საერთოდ თვალითაც არ უნახავთ რა ხდებოდა საყდრისი-ყაჩაბანის არქეოლოგიურ ინიციატივი. სინამდვილეში, კომპანიამ 2014 წლის 13 დეკემბრიდან საყდრისი-ყაჩაბანში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოები განახლა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ იმავე წლის 30 ივნისს „RMG-Gold“-ს საყდრისი-ყაჩაბანში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოების უფლება დროებით შეუჩერა და ეს გადაწყვეტილება დღესაც ძალაშია,⁹³ მსხვილმასშტაბიანი სამუშაოები კომპანიამ არქეოლოგიური ობიექტის „დაშლა-აღების“ სახელის ქვეშ განახორციელა.

საყურადღებოა ისიც, რომ, კომპანიისავე ინფორმაციით, „RMG-Gold“-მა 2014 წლის 29 დეკემბერს ოფიციალურად აცნობა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საყდრისი-ყაჩაბანის არქეოლოგიური ობიექტის დაშლის სამუშაოების დასრულების შესახებ.⁹⁴

შესაბამისად, თუკი კომპანიამ მართლაც 2014 წლის 29 დეკემბერს დაასრულა არქეოლოგიური ობიექტის ე.წ. „დაშლა“, გამოდის, რომ მთელი ეს პროცესი არქეოლოგების და მთლიანად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონაწილეობის გარეშე წარიმართა. თუმცა, თავის დროზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით ჩამოყანილი ბუღარელი და გერმანელი ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნაში ცალსახად აღინიშნა, რომ საყდრისი-ყაჩაბანში სამუშაოების წარმოებას აუცილებლად უნდა დასწრებოდნენ არქეოლოგები.⁹⁵ რატომლაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ეს გარემოება „გამორჩა“.

⁹⁰ მას „RMG-Gold“-ის 2015 წლის 24 აპრილს მედიაში გავრცელებული განცხადება - <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/327032-qaremjiq-saias-ganchkhadebas-pasukhobs.html?ar=A>;

⁹¹ მას „RMG-Gold“-ის 2015 წლის 24 აპრილს მედიაში გავრცელებული განცხადება - <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/327032-qaremjiq-saias-ganchkhadebas-pasukhobs.html?ar=A>;

⁹² საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის #05/09/1857 კორესპონდენცია;

⁹³ თბილისის საქალაქო სასამართლოს #3/1654-14 საქმეზე მიღებული 2014 წლის 30 მაისის განჩინება. მხარეები: მოსარჩევე - ვახა კუჭორიძე, დალი მამულაშვილი. მოპასუხე - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. მესამე პირი: „RMG-Gold“. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ინტერნეტში შემდეგ ბმულზე - <http://gyla.ge/uploads/sakdrisiganchiseba.pdf>;

⁹⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „RMG-Gold“-ის მიერ 2015 წლის 22 იანვარს წარდგენილი განცხადება;

⁹⁵ საბოლოო ანგარიში საყდრისი-ყაჩაბანის პრობლემის თაობაზე. ავტორები: პროფესორი დოქტორი ვენელინ ჟელევი და პროფესორი დოქტორი ალბრეხტ იოკენბოველი. 19 მაისი 2014 წელი;

8.2. ინტერესთა კონფლიქტი

საიას ხელთ არსებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი მონიტორინგის ჯგუფი, საყდრისი-ყაჩალიანში მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგის მიზნით, პირველად 2015 წლის 9 იანვარს ჩავიდა.⁹⁶ იმის გათვალისწინებით, რომ 2014 წლის 13 დეკემბრიდან 2015 წლის 9 იანვრამდე შუალედში კომპანიის მიერ განხორციელებული მასშტაბური სამუშაოების პროცესს ადგილზე მონიტორინგს არქეოლოგები არ უწევდნენ, სრულებით შესაძლებელია, რომ პროცესში არქეოლოგების მონაწილეობის არარსებობის გამო, ახლად აღმოჩენილი არტეფაქტები განზრას ან გაუფრთხილებლობით განადგურებულიყო.

რაც შეეხება საყდრისი-ყაჩალიანში 2015 წლის 9 იანვარს ჩასული ჯგუფის შემადგენლობას, მასში სააგენტოს თანამშრომლის სტატუსით შედიოდა ლალი ახალია, ხოლო "RMG-Gold"-ისთვის გაგზავნილ მონიტორინგის ანგარიშს ხელი დავით ლომიტაშვილმა მოაწერა.⁹⁷ ლალი ახალია და დავით ლომიტაშვილი 2013 წლის მაისის თვეში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით შექმნილი იმ თერთმეტაციანი კომისიის წევრები იყვნენ,⁹⁸ რომელმაც საყდრისი-ყაჩალიანში უძველესი ოქროს მაღაროს არსებობა არადამაჯერებლად მიიჩნია.⁹⁹ მოვიანებით, აღნიშნული თერთმეტკაციანი კომისიის შექმნის თაობაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა უკანონოდ მიიჩნიეს.¹⁰⁰

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლები საყდრისი-ყაჩალიანში 2015 წლის 20 იანვარს, 13 მარტს და 2 აპრილსაც იმყოფებოდნენ. აღნიშნულ თარიღებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ ანგარიშები 20 იანვრით, 6 და 16 აპრილით თარიღდება.¹⁰¹ 20 იანვარს განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშში ცალსახად იყო მითითებული, რომ ტერიტორიის დათვალიერებისას არანაირი არქეოლოგიური მასალა არ ფიქსირდებოდა.¹⁰² რაც შეეხება 13 მარტს და 2 აპრილს განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშებს, დოკუმენტებში აღნიშნა, რომ ჯგუფი ტერიტორიის ზედაპირული დათვალიერებით შემოიფარგლა და ტერიტორიაზე კულტურული ფენა და არქეოლოგიური მასალა კვლავაც არ დასტურდებოდა.¹⁰³

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საყდრისი-ყაჩალიანში მიმდინარე სამუშაოებზე მონიტორინგის წარმომადგენლება 2015 წლის 17 აპრილს მიიღო. აღნიშნულზე მიუთითებს სააგენტოს 2015 წლის 17 აპრილის კორესპონდენცია, რომლითაც მან „RMG-Gold“-ს მიმართა და აცნობა, რომ სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფის 2015 წლის 16 აპრილის მონიტორინგის ანგარიშის თანახმად, საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიური ობიექტი მთლიანად იყო დაშლილი და აღებული და, ვინაიდან ტერიტორიაზე რაიმე ახალი არქეოლოგიური ობიექტის გამოვლენის აღბათობა აღარ არსებობდა, სააგენტოს მხრიდან ტერიტორიის შემდგომი მონიტორინგის გაგრძელება საფუძველს იყო მოკლებული.¹⁰⁴

2015 წლის 20 იანვრით, ასევე 6 და 16 აპრილით დათარიღებულ მონიტორინგის ანგარიშებს სააგენტოს მხრიდან ხელს კონსტანტინე ფიცხელაური აწერს. ჯერ კიდევ 2013 წლის შემოდგომაზე კონსტანტინე ფიცხელაური, „RMG-Gold“-ის დაკვეთით, შპს „არქეოლოგთა გაერთიანების“ მიერ საყდრისი-ყაჩალიანის ობიექტზე ჩატარებული იმ არქეოლოგიური სამუშაოების წარმმართველი პირი იყო,¹⁰⁵ რომლის ანგარიშიც იმ დროისთვის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებულმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიურმა სექციამ არასრულყოფილად მიიჩნია და ობიექტის შემდგომი შესწავლის საჭიროებაზე მიუთითა.¹⁰⁶

დღეისათვის დავით ლომიტაშვილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობას იყავებს,¹⁰⁷ კონსტანტინე ფიცხელაური ამავე სააგენტოს არქეოლოგიური სამსახურის უფროსია, ხოლო ლალი ახალია სააგენტოს თანამშრომელია.

⁹⁶ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 13 იანვრის #10/09/27 კორესპონდენცია;

⁹⁷ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 13 იანვრის #10/09/27 კორესპონდენცია;

⁹⁸ საქართველოს კულტურულისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის #03/82 ბრძანება;

⁹⁹ <http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/08/annex10.pdf>;

¹⁰⁰ http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/10/court_decision_Finall.pdf; <http://bit.ly/1cF9BQ>;

¹⁰¹ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფის 2015 წლის 20 იანვრის, 6 და 16 აპრილის მონიტორინგის ანგარიში;

¹⁰² კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფის 2015 წლის 20 იანვრის მონიტორინგის ანგარიში;

¹⁰³ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 8 მაისის #10/09/826 კორესპონდენცია;

¹⁰⁴ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 17 აპრილის #10/09/656 კორესპონდენცია.

¹⁰⁵ შპს „არქეოლოგთა გაერთიანება“ - საყდრისი-ყაჩალიანის ობიექტის ტერიტორიაზეჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში (2013 წლის 21 ოქტომბერი - 12 ნოემბერი). არქეოლოგიური სამუშაოების წარმმართველი - კონსტანტინე ფიცხელაური;

¹⁰⁶ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის 2014 წლის 9 იანვრის სხდომის ოქმი #1;

¹⁰⁷ <http://www.heritagesites.ge/geo/about/managements/>;

ხსენებული სამი პირის მონაწილეობით, 2013 წელს საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით არაერთი დოკუმენტი მომზადდა, რომელიც მოგვიანებით სასამართლოს და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანიზაციის მიერ უკანონოდ და არასრულყოფილად შეფასდა, შესაბამისად, ბუნებრივია, ამ დოკუ-მენტების ობიექტურობა კითხვებს პადებს.

საყურადღებოა, რომ 2013 წელს “RMG-Gold”-ის დაკვეთით, შპს „არქეოლოგთა გაერთიანების“ მიერ, კონსტანტინე ფიცხელაურის ხელმძღვანელობით მომზადებულ არქეოლოგიური სამუშაოების ანგა-რიში შემდეგ ჩანაწერს ვხდებით: „ექსპედიციის მუშაობის შედეგად, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება, მხოლოდ ერთი დასკვნა გამოვიტანოთ – საყდრისი-ყაჩაღიანის შესასწავლი ბორცვის მთე-ლი ტერიტორია აბსოლუტურად თავისუფალია არქეოლოგიური ობიექტებისგან. იგი, ამ თვალსაზ-რისით, სრულიად სტერილური ჩანს იმის მიხედვითაც, რომ მთელ განათხარ ფართობზე არქეოლოგი-ური ნივთის ერთი ფრაგმენტიც კი არ აღმოჩენილა.“¹⁰⁸

ამდენად, ჯერ კიდევ 2013 წელს კონსტანტინე ფიცხელაური, როგორც “RMG-Gold”-ის მიერ დაქი-რავებული კომპანიის არქეოლოგი, საყდრისი-ყაჩაღიანში კულტურული კვალის არარსებობაზე მიუთითებდა. შესაბამისად, აღნიშნული პიროვნების მივლენა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლის სტატუსით, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე პერმანენტული მონიტორინგის წარმოების მიზნით, აშკარა ინტერესთა კონფლიქტზე მიუთითებს.

ინტერესთა კონფლიქტის ნაწილში აუცილებლად უნდა ვახსენოთ ასევე სააგენტოს გენერალური დი-რექტორის მოადგილე დავით ლომიტაშვილი. 2014 წელს, „სტუდია მონიტორის“ მიერ მომზადებულ დოკუმენტურ საგამოძიებო ფილმი აღნიშნულია, რომ 2013 წელს დავით ლომიტაშვილი, საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით, ააიპ „კლუბი ტაძრის“ დაკვეთით ამზადებდა ანგარიშს. თავის მხრივ, „კლუბი ტაძარი“ “RMG-Gold”-ის კონტაქტორი იყო. შესაბამისად, „კლუბი ტაძრის“ გავლით დავით ლომიტაშვილი “RMG-Gold”-თან დაკავშირებული პირის სტატუსით სარგებლობდა.¹⁰⁹ ამასთან, დავით ლომიტაშვილი, ჯერ კიდევ 2013 წლიდან მოყოლებული, ეჭვის ქვეშ აყენებდა საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროდ მიჩნევის შესაძლებლობას და აღნიშნულის შესახებ არაერთ სატელევიზიო ეთერში გააკეთა განცხადება.¹¹⁰

ზემოთ აღნიშნული გარემოებები ნათლად მიუთითებს, რომ კონსტანტინე ფიცხელაური, ლალი ახა-ლაია და დავით ლომიტაშვილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს არ უნდა ჩაერთო 2015 წლის იანვრის თვიდან საყდრისი-ყაჩაღიანში წარმოებული პერმანენტული მონიტორინ-გის ჯგუფის საქმიანობაში.

9. ვინ დაარღვია კანონი?

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მიხედვით, ამ კან-ონის მიზანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. თუმცა, საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროსთან დაკავშირებულ საკითხზე მსჯელობის დროს, 2014 წლის 12 დეკემბერს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ზემოთ აღნიშნული კანონის არაერთი მოთხოვნა დაარღვიერს. კერძოდ:

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, ძეგლისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნის შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის განადგურდა ან ისე დაზიანდა, რომ დაკარგა ისტორიული ან კულტურული ღირებულება, რომლის აღდგენა შეუძლებელია, ან, მეცნიერ-ული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით, დაკარგა ის ძირითადი მახასიათებელი, რომლის გამოც მას ძეგლის სტატუსი მიენიჭა. თუმცა, 2014 წლის 12 დეკემბერს, როცა სამინისტრო და სააგენტო საყ-დრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს იღებდნენ, სახეზე არ ყოფილა არც ძეგლის განადგურება და არც ისეთი დაზიანება, რომ მას დაკარგული ჰქონდა ისტორიული ან კულტურული ღირებულება.

სააგენტოს გენერალური დირექტორის მიერ საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსთ-ვის ძეგლის სტატუსის მოხსნის მიზნით პრანების გამოცემის დროს, არ არსებობდა მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით მომზადებული დასკვნა, რომელიც დაადასტურებდა, რომ ძე-გლს დაკარგული ჰქონდა ის ძირითადი მახასიათებელი, რომლის გამოც მას ძეგლის სტატუსი მიენიჭა. შესაბამისად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტო-

¹⁰⁸ შპს „არქეოლოგთა გაერთიანება“ – საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში (2013 წლის 21 ოქტომბერი – 12 ნოემბერი). არქეოლოგიური სამუშაოების წარმართველი – კონსტანტინე ფიცხელაური;

¹⁰⁹ „სტუდია მონიტორი“ – „პრემიერის ოქროს შუალედი“ – <https://www.youtube.com/watch?v=oAQCMpCmso>;

¹¹⁰ „სტუდია მონიტორი“ – „პრემიერის ოქროს შუალედი“ – <https://www.youtube.com/watch?v=oAQCMpCmso>; „რეალური სივრცე“ – <https://www.youtube.com/watch?v=aLrH3KTY1bc>;

რის გადაწყვეტილებით,¹¹¹ რომელსაც საყდრისი-ყაჩაღიანისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნა მოჰყვა, დაირღვა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები.¹¹²

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანებით, ასევე დაირღვა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით დადგენილი დანახესი, რომლის თანახმადაც, უძრავი არქეოლოგიური ობიექტის აღება (დაშლა) დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი გათხრილი და სრულად შესწავლილია და არ არსებობს საკმარისი საფუძველი მისთვის ძეგლის სტატუსის მისანიშებლად. საყდრისი-ყაჩაღიანის შემთხვევაში კი, ცალსახად დასტურდება, რომ ობიექტი არ ყოფილა სრულად შესწავლილი და წლების განმავლობაში ქართულ-გერმანული ექსპედიციის მიერ საყდრისი-ყაჩაღიანის მხოლოდ ნაწილის შესხავლა განხორციელდა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი მხოლოდ იმ არქეოლოგიური ობიექტის აღების (დაშლის) შესაძლებლობას ითვალისწინებს, რომელთან დაკავშირებით არ არსებობს საკმარისი საფუძველი ძეგლის სტატუსის მისანიშებლად. საყდრისი-ყაჩაღიანის შემთხვევაში კი, ობიექტი უკვე წარმოადგენდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. შესაბამისად, სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანება და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიავე დღით დათარიღებული №05/09/1857 გადაწყვეტილება ცალსახად აღმდევს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებულ წესებს.

კომპანია „RMG Gold“-ს 2014 წლის 12 დეკემბრის №445/1 განცხადებით არ მოუთხოვია საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნა. კომპანიამ მხოლოდ არქეოლოგიური ობიექტის დაშლაზე თანხმობის გაცემა ითხოვა.¹¹³ შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს უფლება არ ჰქონდა, „RMG Gold“-ის 2014 წლის 12 დეკემბრის №445/1 განცხადების საფუძველზე, კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციაზე განსახილველად გაეტანა საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) დაინტერესებული პირის განცხადება;

ბ) ადმინისტრაციული ორგანოსთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება – გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.¹¹⁴

თუმცა, „RMG Gold“-ის, როგორც დაინტერესებული პირის, მიერ 2014 წლის 12 დეკემბერს წარდგენილი განცხადების შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, სააგენტოს ადმინისტრაციული წარმოება მხოლოდ არქეოლოგიური ობიექტის დაშლის კანონით გათვალისწინებული თანხმობის გაცემის მიზნით უნდა ჩატარებინა და საერთოდ არ უნდა ემსჯელა საყდრისი-ყაჩაღიანისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნა-არმოსნის საკითხზე. შესაბამისად, ცალსახა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს უარი უნდა ეთქვა „RMG Gold“-ისთვის განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნის დაკიაყოფილებაზე.¹¹⁵ იმ პირობებში, როცა საყდრისი-ყაჩაღიანი წარმოადგენდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, არქეოლოგიური ობიექტის დაშლის შესახებ თანხმობის მიცემაზე მსჯელობა დაუშვებელი იყო.

ამავე კონტექსტში, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზაკ-ის თანახმად, განცხადების აუცილებელ რეკვიზიტს წარმოადგენს დაინტერესებული პირის მოთხოვნა. ¹¹⁶ შესაბამისად, „RMG-Gold“-მა თავად განსაზღვრა, რა იყო კომპანიის მოთხოვნა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო არ უნდა გასცდებოდა იმ მოთხოვნის ფარგლებს, რომელიც კომპანია „RMG-Gold“-ის 2014 წლის 12 დეკემბრის №445/1 განცხადებაში იყო მოცემული.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული არაერთი გარემოებისა, სააგენტომ ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით ჩაატარა და, საბოლოოდ, საკითხზე კანონქლიქში მყოფი გადაწყვეტილება მიიღო.

¹¹¹ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის #2/271 ბრძანება;

¹¹² „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 17;

¹¹³ RMG-Gold-ის 2014 წლის 12 დეკემბრის #445/1 განცხადება;

¹¹⁴ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 76;

¹¹⁵ RMG-Gold-ის 2014 წლის 12 დეკემბრის #445/1 განცხადება;

¹¹⁶ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 78;

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, 2014 წლის 12 დეკემბერს საყდრისი-ყაჩალიანის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების კანონთან წინააღმდეგობრივი ბუნება სხვა ფაქტორებმაც განაპირობა.

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩატარებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, ვალდებულია, უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. უფრო მეტიც, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მიპერატიულად მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, ასევე, ვალდებულია, უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.¹¹⁷

მოცემულ შემთხვევაში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ერთ დღეში ისე ჩატარა ადმინისტრაციული წარმოება, რომ აღნიშნულის შესახებ არ შეატყობინა არც საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, არც არქეოლოგიური კვლევის ცენტრს და არც საყდრისი-ყაჩალიანის ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებს. თუმცა, სააგენტომ თავიდანვე იცოდა, რომ დაინტერესებული პირებისთვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შეუტყობინებლობას და, მით უმეტეს, ერთ დღეში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემას არსებითად შეეძლო გაეუარესებინა მათი მდგომარეობა. აღნიშნულის დასტურად ის გარემოებაც გამოდგება, რომ 2014 წლის 15 დეკემბერს საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ოფიციალურად დააფიქსირა საკუთარი პოზიცია,¹¹⁸ რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მიერ 2014 წლის 12 დეკემბერს საყდრისი-ყაჩალიანის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებებისგან. მაგალითად, განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ:

- გერმანული მხარისა და სხვა პარტნიორი დაწესებულებების მიერ ყველა საერთაშორისო სტანდარტის დაცვით ჩატარებული კვლევების საფუძველზე, საყდრისი წარმოადგენს მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიურ ძეგლს;
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ბოსუმის გერმანიის სამთო მუზეუმთან (DBM) და სხვა უცხოელ პარტნიორებთან ერთად, 2004 წლიდან ანარმოებდა სამთო-მეტალურგიული კერის საერთაშორისო ინტერდისციისამისარულ კვლევებს საყდრისი-ყაჩალიანის ტერიტორიაზე. შედეგად, სამეცნიერო წრეებმა ძეგლი აღიარეს ოქროს სამთამადნო წარმოების უძველეს კერად მსოფლიოში, რაც გამოიხატა სხვადასხვა დროს საქართველოსა და საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებში;
- არქეოლოგიური ობიექტის დღევანდელი სავალალო მდგომარეობა განაპირობა 2013 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომლის თანახმად, ოქროს სამთამადნო წარმოების ძეგლს მოეხსნა სტატუსი. აღნიშნულ ბრძანებას საფუძვლად დაედო თერთმეტკაციანი კომისიის დასკვნა, რომლის მომზადებაში არ ყოფილან ჩატარული ის ქართველი და უცხოელი მეცნიერები, რომლებიც თითქმის ათი წლის განმავლობაში იკვლევდნენ ძეგლს. 2013 წელს მოხდა საერთაშორისო ექსპედიციის ჯგუფის იზოლირება ძეგლისგან და იმავე წელს არქეოლოგთა სხვა ჯეოფრენის ჩატარა სამუშაოები, რომლის შედეგადაც გააქტიურდა ძეგლის ნგრევის პროცესი. ჩვენს მეცნიერებს არ ჰქონდათ საშუალება, არათუ ჩატარულიყვნენ მიმდინარე სამუშაოებში, ინფორმაციასაც არ ფლობდნენ ძეგლზე მიმდინარე პროცესების შესახებ.¹¹⁹

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ზემოთ აღნიშნული განცხადება ნათლად მიუთითებს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული მუზეუმისა და, უშუალოდ, საყდრისი-ყაჩალიანის ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებისთვის 2014 წლის 12 დეკემბერს ჩატარებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვის შესაძლებლობას. გარდა ამისა, იმ გარემოებამ, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ერთი დღის განმავლობაში ფარულად ჩატარა ადმინისტრაციულ წარმოება, დაინტერესებულ პირებს ნაართვა შესაძლებლობა, თავად მიემართათ სააგენტოსთვის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვის მოთხოვნით.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია ასევე საქმის გარემოებათა გამოკვლევა, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.¹²⁰ ბუნებრივია, რომ ერთი არასრული დღის განმავლობაში ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოება ვერ უზრუნველყოფა საქმისთვის მნიშ-

¹¹⁷ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 95;

¹¹⁸ http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=105&info_id=13200

¹¹⁹ http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=105&info_id=13200

¹²⁰ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 96;

ვნელოვანი ყველა გარემოების გამოკვლევას. შესაპამისად, სააგენტომ დაარღვია კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნა, რომ დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.¹²¹ არადა, საქმის გარემოებათა სა-თანადო გამოკვლევის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლი ად-მინისტრაციული წარმოების დროს სააგენტოს უფლებას ანიჭებდა, რომ – გამოეთხოვა დოკუმენტები; შეეგროვებინა ცნობები; მოქადაგინა დაინტერესებული მხარეებისთვის; დაეთვალიერებინა მოვლენის ან შემთხვევის ადგილი; დაენიშნა ექსპერტიზა; გამოეყენებინა აუცილებელი დოკუმენტები და აქტები; მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით, მიემართა კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ზომებისთვის. აღნიშნულის საპირისპიროდ, სააგენტომ სათანადოთ არ გამოიყენა ზაკ-ის 97-ე მუხლით განსაზღვრული საშუალებები, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საკითხზე ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ფორმირებულად, დროის მცირე მონაცემთში, ერთი არასრული დღის განმავლობაში ჩატარა აღმინისტრაციული წარმოება და „RMG-Gold“-ის 2014 წლის 12 დეკემბრის განცხადებით მოთხოვნილი საკითხისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ საკითხზე იმსჯელა.

ადმინისტრაციული წარმოების იმგვარად ჩატარება, როგორც ეს საქართველოს კულტურული მემ-კვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ „RMG-Gold“-ის 2014 წლის 12 დეკემბრის განცხადე-ბასთან დაკავშირებით განახორციელა, თავისთავად, ეჭვის ქვეშ აყენებს საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობას.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ისე გამოიცა 2014 წლის 12 დე-კემბრის №2/271 ბრძანება და, სააგენტოს 12 დეკემბრის №05/09/1857 გადაწყვეტილებით, ისე მიეცა „RMG-Gold“-ს არქეოლოგიური ობიექტის დაშლის (აღების) უფლება, რომ, მიუხედავად თემისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა, პრაქტიკულად არცერთ დაინტერესებულ პირს ამ პროცესში მონაწილეობის საშუალება არ მიეცა.

2014 წლის 12 დეკემბერს საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით კიდევ უფრო სწრაფად მოქმედებდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. სამინისტროში სააგენტოს გენერალური დირექტორის იმ ბრძანების რეგისტრაციიდან 39 წუთის შემდეგ, რომლითაც საყდრისი-ყაჩაღიანს ძეგლის სტატუსი მოხესნა, 19:09 საათზე კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ის ბრძანება დარეგისტრირდა, რომლის ძალითაც, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებაში საყდრისი-ყაჩაღიანის, როგორც კულტურული მემ-კვიდრეობის ძეგლის, შესახებ არსებული ჩანაწერი ბათილად გამოცხადდა.¹²²

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა 2014 წლის 12 დეკემბერს 39 წუთში მოასწრო ყველანაირი ფორმალობა, რაც სამართლებრივი აქტის გამოცემას ახ-ლდა თან და ბრძანების საფუძველზე გადაწყვიტა, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების დანართის რიგითი №2042 (საყდრი-სი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი) ბათილად უნდა გამოცხადე-ბულიყო, ცხადია, რთულია საუბარი ამ გადაწყვეტილების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.¹²³

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მსგავსად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მოქმედებაშიც კანონმდებლობით დადგენილი არაერთი მოთხოვ-ნის დარღვევა იკვეთება. შესაბამისად, სააგენტოსთან დაკავშირებით ზემოთ მოყვანილი კანონმდე-ბლობის დარღვევის შემთხვევების ნაწილი რელევანტურია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან დაკავშირებითაც. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს დარღვევები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ძეგლისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნის შესაძლებლობა; არქეოლოგი-ური ობიექტის დაშლა (აღება); აღმინისტრაციული წარმოებაში დაინტერესებული პირების ჩართვა და სამართლებრივი აქტის გამოცემა გარემოებების და ფაქტების გამოკვლევის საფუძველზე.

¹²¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 96;

¹²² საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 23 იანვრის #11/11-379 კორესპონდენცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 12 დეკემბრის საქმისწარმოების რეესტრის ასლი;

¹²³ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის #03/266 ბრძანება;

10. გაგრძელებული ლიცენზია

10.1. მთავრობის სხდომაშედევნი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლის 12 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილებების შემდეგ, რასაც მომდევნო დღეს მყისიერად მოჰყვა საყდრისი-ყაჩალიანის აფეთქება, ნათელი იყო, რომ „RMG-Gold“-ს იმ ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება დასჭირდებოდა, რომელიც ერთხელ უკვე გაუგრძელდა და 2015 წლის დადგომასთან ერთად ეწურებოდა.¹²⁴

2014 წლის 15 დეკემბერს „RMG-Gold“-მა წერილობით მიმართა გარემოს ეროვნულ სააგენტოს და 2021 წლის 21 აპრილამდე საყდრისი-ყაჩალიანთან კავშირში მყოფი ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება სთხოვა.¹²⁵ წერილში კომპანია აღნიშნავდა, რომ „RMG-Gold“-მა საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიური ობიექტის აღების (დაშლის) თანხმობა იმავე წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით მიღობდა და სამთო მოპოვებითი სამუშაოები მომდევნო დღეს განაახლდა. შესაბამისად, დროის სიმწირის გამო, 2015 წლის 1 იანვრამდე დარჩენილი ლიცენზიის მოქმედების დრო არ იყო საკმარისი საბადოს სრული სამრეწველო ათვისებისთვის.¹²⁶

იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიისთვის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება იურიდიულად სხვა ლიცენზიის ამოქმედების თარიღის გადაწევას საჭიროებდა,¹²⁷ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ „RMG-Gold“-ს, საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით, აცნობა, რომ – „იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიით დადგენილია მისი ამოქმედების კონკრეტული თარიღი და იგი ჯერ არ დამდგარა, ლიცენზიის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, სამინისტროს შუამდგომლობით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ლიცენზიის გამცემის მიერ ლიცენზიაში ერთჯერადად შესაძლებელია შეტანილ იქნეს ცვლილება ლიცენზიის ამოქმედების თარიღის გადაწევასთან დაკავშირებით. ამასთან, ლიცენზიის ამოქმედების თარიღის გადაწევის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.“¹²⁸

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ კომპანიას დამატებით აცნობა, რომ – „შპს „RMG-Gold“-ის მფლობელობაში არსებული სარგებლობის ლიცენზიების (სერია 53, ნომერი 0010, ტიპი VI ABC და №1002122) შემთხვევაში, ლიცენზიის ვადის გაგრძელების და, მეორე შემთხვევაში, ლიცენზიის ძალაში შესვლის გადავადების მექანიზმი უკვე გამოყენებულია (მოქმედი ლიცენზიის ვადის გაგრძელების ხარჯზე, ერთხელ უკვე გადავადდა იმავე ფართობზე გაცემული ლიცენზიის ძალაში შესვლა) და მისი ხელახლა გამოყენების სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობს.“¹²⁹

გარემოს ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციის შემდეგ, ლიცენზიის მოქმედების ვადის ამონტურვამდე სამი დღით ადრე, „RMG-Gold“-მა კიდევ ერთი განცხადება წარადგინა სააგენტოში და ხელახლა ითხოვა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება, ოღონდ ამჯერად ტერიტორიის უმუალოდ იმ ნაწილზე, რომელიც საყდრისი-ყაჩალიანთან იყო დაკავშირებული.¹³⁰

გადაწყვეტილების მისაღებად გარემოს ეროვნულ სააგენტოს საქართველოს მთავრობის თანხმობა სტატურობიდან, ხოლო აღნიშნული თანხმობის მისაღებად მთავრობისადმი შესაბამისი შუამდგომლობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უნდა წარედგინა. შესაბამისად, საჭირო იყო, რომ კომპანიის კორესპონდენციას, გარემოს ეროვნული სააგენტოს გარდა, კიდევ ორ უწყებაში გასცნობოდნენ და, ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე, გადაწყვეტილება მიეღოთ. უფრო მეტიც, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და გარემოს ეროვნულ სააგენტოს საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტისთვის შესაბამისი განმარტებითი ბარათი უნდა მოემზადებინათ – სათანადო დასაბუთებით. ამასთან, როგორც საიას ხელთ არსებული დოკუმენტებით ირკვევა, 2014 წლის 30 დეკემბრის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საქართველოს მთავრობის სხდომაზე საკითხის გატანამდე კიდევ ორი უწყებიდან დასჭირდა შესაბამისი პასუხის მიღება. კერძოდ საუბარია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და საავტომობილო გზების დეპარტამენტზე.¹³¹

¹²⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის #593 განკარგულება;

¹²⁵ შპს „RMG-Gold“-ს 2014 წლის 15 დეკემბრის #449/1 კორესპონდენცია;

¹²⁶ შპს „RMG-Gold“-ს 2014 წლის 15 დეკემბრის #449/1 კორესპონდენცია;

¹²⁷ ვრცლად იხილეთ საიას კვლევა: „საყდრისი-ყაჩალიანი - კულტურული მემკვიდრეობიდან ოქროს თანამედროვე მოპოვებამდე“, 2014წ. ელექტრონულად ხელმისაწვდომია ლინკზე - http://gyla.ge/uploads/ge_full.pdf

¹²⁸ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 23 დეკემბრის #21/1376 კორესპონდენცია;

¹²⁹ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 23 დეკემბრის #21/1376 კორესპონდენცია;

¹³⁰ შპს „RMG-Gold“-ის 2014 წლის 29 დეკემბრის #469 კორესპონდენცია;

¹³¹ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის 30 დეკემბრის #7614 და 7615 კორესპონდენციები;

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის 30 დეკემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში გაგზავნილი კორესპონდენცია სამინისტროს კანცელარიაში 11:29 საათზე დარეგისტრირდა.¹³² სამინისტრო სააგენტოს სთხოვდა, განეხილა და ეცნობებინა, კონკრეტულ კოორდინატებში მდებარე ტერიტორია ექცეოდა თუ არა „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს“ ფარგლებში.¹³³ თავის მხრივ, სააგენტომ სამინისტროს პასუხი მომდევნობის უძველესი ოქროს მაღაროს და აცნობა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის მოხსნილი ჰქონდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.¹³⁴ სააგენტოს პასუხი სამინისტროში იმავე დღეს 15:20 საათზე დარეგისტრირდა.¹³⁵

რაც შეეხება საავტომობილო გზების დეპარტამენტს, აღნიშნულ უწყებაში სამინისტროს მიერ გაგზავნილი კორესპონდენცია სამინისტროს კანცელარიაში გასული წლის 30 დეკემბერს 11:32 საათზე დარეგისტრირდა.¹³⁶ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო საავტომობილო გზების დეპარტამენტს სთხოვდა კონკრეტულ კოორდინატებში მდებარე ტერიტორიაზე წიაღის მოპოვების საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენას.¹³⁷ წერილში ასევე აღნიშნული იყო, რომ სამინისტრო, საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, პასუხის გაცემას შემჭიდროებულ ვადებში ითხოვდა.¹³⁸ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გაითვალისწინა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს თხოვნა საკითხის მოპოვების განხილვის თაობაზე. შესაბამისად, 2014 წლის 30 დეკემბერს 14:25 საათზე სამინისტროს კანცელარიაში დეპარტამენტის პასუხი დარეგისტრირდა.¹³⁹ კერძოდ, დეპარტამენტი სამინისტროს ატყობინებდა, რომ არ იყო წინააღმდეგი შეეთანხმებინა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება კონკრეტული ტექნიკური პირობების დაცვის შემთხვევაში, რაც მოიცავდა:

- საკარიერო ტერიტორიის განსაზღვრას კოორდინატებში;
- საავტომობილო გზის გასწვრივ, სალიცენზიონ ობიექტის მიმდებარედ, საავტომობილო ტრანსპორტის შესასვლელის და გამოსასასვლელის სქემატური ნახაზი უნდა დამუშავებულიყო მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად, სადაც საფარის მოწყობა მოხდებოდა საავტომობილო გზის საფარის იდენტურად;
- სალიცენზიონ ტერიტორიიდან ტვირთის გადაზიდვა უნდა მომხდარიყო „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- სალიცენზიონ ობიექტის მიმდებარედ უნდა შენარჩუნებულიყო საავტომობილო გზის ელემენტები და წყალმომცილებელი სამუალებები;
- წიაღისეულის მოპოვების პერიოდში უნდა აკრძალულიყო გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;
- სალიცენზიონ ობიექტის ფუნქციონირების პერიოდში მთელი ტერიტორიის ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო საავტომობილო გზის ელემენტების ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენახვა.¹⁴⁰

საბოლოოდ, 2014 წლის 30 დეკემბრის 15:20 საათისთვის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ხელთ ჰქონდა ყველა ის დოკუმენტი, რომლის მისაღებადაც იმავე დღეს სხვადასხვა აღმინისტრაციულ ორგანოს მიმართა.¹⁴¹ შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პასუხი სამინისტროს კანცელარიაში 15:20 საათზე დარეგისტრირდა, სამინისტროს სწორედ ამის შემდეგ უნდა მიერთა საქართველოს მთავრობისთვის და „RMG-Gold“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი და თანდართული მასალები წარედგინა.

სინამდვილეში, მოვლენები მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. საიას ხელთ არსებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ საქართველოს მთავრობას „RMG-Gold“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტითა და თანდართული მასალები წარედგინა.

¹³² საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის 21 აპრილის #2469 კორესპონდენცია;

¹³³ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის 30 დეკემბრის #7614 კორესპონდენცია;

¹³⁴ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის #08/09/1949 კორესპონდენცია;

¹³⁵ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის 21 აპრილის #2469 კორესპონდენცია;

¹³⁶ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის 21 აპრილის #2469 კორესპონდენცია;

¹³⁷ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის 30 დეკემბრის #7615 კორესპონდენცია;

¹³⁸ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის 30 დეკემბრის #7615 კორესპონდენცია;

¹³⁹ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის 21 აპრილის #2469 კორესპონდენცია; საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2014 წლის 30 დეკემბრის #2-03/9107 კორესპონდენცია;

¹⁴⁰ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2014 წლის 30 დეკემბრის #2-03/9107 კორესპონდენცია;

¹⁴¹ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის 21 აპრილის #2469 კორესპონდენცია;

თული მასალებით არა 2014 წლის 30 დეკემბრის 15:20 საათის შემდეგ, არამედ იმავე დღის 14:28 საათზე მიმართა.¹⁴² ანუ, როგორც ირკვევა, სამინისტრომ ისე მიმართა საქართველოს მთავრობას, ¹⁴³ რომ ხელთ არ ჰქონდა ყველა ის დოკუმენტი, რომელიც „RMG-Gold“-ზე გაცემული წილით სარგებლობის ლიცენზის მოქმედების გადის გაგრძელების თაობაზე საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტისა და თანდართული მასალებისთვის იყო საჭირო.

თუმცა, დროში არსებული ცდომილება არ არის ერთადერთი პრობლემა, რომელიც 2014 წლის 30 დეკემბერს „RMG-Gold“-ისთვის ლიცენზის გაგრძელების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ახლდა თან.

საქართველოს მთავრობის რეგლამენტით განსაზღვრულია როგორც სამართლებრივი აქტის ინიცირების, ასევე სამართლებრივი აქტის პროექტის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში წარდგენის წესი. აღნიშნული რეგლამენტის თანახმად, „მთავრობის სხდომაზე განსახილველი საკითხის წარდგენა მთავრობის კანცელარიაში უნდა მოხდეს არა უგვიანეს სამშაბათისა, 15:00 საათამდე. კვირის სხვა დღეს მთავრობის სხდომის დანიშვნის შემთხვევაში, საკითხის წარდგენა უნდა მოხდეს სხდომის გამართვის თარიღამდე არა უგვიანეს 2 დღისა. აღნიშნული ვადის დარღვევით წარდგენილი პროექტები განიხილება მომავალი მთავრობის სხდომის დღის წესრიგის მოსამზადებელ ეტაპზე.“¹⁴⁴

2014 წლის 30 დეკემბერი სამშაბათი დღე იყო. მთავრობის რეგლამენტის მოთხოვნებს თუ გავყვებით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სამართლებრივი აქტის პროექტი ორი დღით ადრე უნდა მიეწოდებინა მთავრობის ადმინისტრაციისთვის. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ თავად „RMG-Gold“-ის განცხადება 29 დეკემბერს იყო დარეგისტრირებული გარემოს ეროვნულ სააგენტოში, რეგლამენტის აღნიშნული მოთხოვნის დაცვა პრაქტიკულად გამორიცხული იყო. ამრიგად, თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს მთავრობის რეგლამენტში არსებულ ზემოთ აღნიშნულ ჩანაწერს, ცალსახაა, რომ საქართველოს მთავრობას 2014 წლის 30 დეკემბრის სხდომაზე „RMG-Gold“-ის განცხადებასთან დაკავშირებული საკითხი არ უნდა განეხილა.

10.2. მთავრობის სხდომა

2014 წლის 30 დეკემბერს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში მთავრობის 2014 წლის ბოლო სხდომა გაიმართა. ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, მთავრობის სხდომა 15:00 საათზე დაიწყო და დაახლოებით ორი საათი გაგრძელდა.¹⁴⁵ დღის წესრიგის მიხედვით, სულ 10 საკითხი იყო განსახილველი, რომელთა შორის „RMG-Gold“-ისთვის გაცემული წილით სარგებლობის ლიცენზის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე საკითხი არ შედიოდა.¹⁴⁶ თუმცა, მოგვიანებით, მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გავრცელდა სხდომასთან დაკავშირებული ინფორმაცია სადაც აღინიშნა, რომ მთავრობის სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ 10 საკითხს კიდევ 19 დაემატა და, საბოლოოდ, 29 საკითხი დამტკიცდა.¹⁴⁷ მათ შორის რიგით მე-18 საკითხი სწორედ საქართველოს მთავრობის მიერ „RMG-Gold“-ზე გაცემული წილით სარგებლობის ლიცენზის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას შეეხებოდა.¹⁴⁸

იმავე დღეს, 2014 წლის 30 დეკემბერს, გამოიცა საქართველოს მთავრობის განკარგულება და გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოს მიერა თანხმობა, რომ „RMG-Gold“-ისთვის წილით სარგებლობის მიზნით გაცემული ლიცენზის (სერია 53, №0010, ტიპი VI ABC) მოქმედების ვადა 2020 წლის 1 იანვრამდე გაგრძელებულიყო სალიცენზიონ ტერიტორიის კონკრეტულ ლოკაციაზე, ე.წ. იმ “X” და “Y” კოორდინატებში, რომელიც საყდრისი-ყაჩაღიანს ეხებოდა.¹⁴⁹

საქართველოს მთავრობიდან თანხმობის მიღების შემდეგ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ 2014 წლის ბოლო სამუშაო დღეს, 31 დეკემბერს, გამოსცა ბრძანება და „RMG-Gold“-ს სალიცენზიონ ტერიტორიის კონკრეტულ ლოკაციაზე, ე.წ. “X” და “Y” კოორდინატებში, ლიცენზის მოქმედების ვადა 2020 წლის 1 იანვრამდე გაუგრძელა.¹⁵⁰

მეტი სიცხადისთვის, 2014 წლის 29-31 დეკემბრის მოვლენების ქრონიკა ქვემოთ წარმოდგენილ ინფორმაციის მიხედვით ასახული.

¹⁴² საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის 21 აპრილის #2469 კორესპონდენცია;

¹⁴³ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის 30 დეკემბრის #7625 კორესპონდენცია;

¹⁴⁴ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის #54 დადგენილება - საქართველოს მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ. მუხლი 12, პუნქტი 3;

¹⁴⁵ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2015 წლის 21 აპრილის #27171 კორესპონდენცია;

¹⁴⁶ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგი. ელექტრონულად ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე - http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=385&info_id=46342;

¹⁴⁷ http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=385&info_id=46342;

¹⁴⁸ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2015 წლის 21 აპრილის #27171 კორესპონდენცია;

¹⁴⁹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის #2597 განკარგულება;

¹⁵⁰ სისპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის #478/ს ბრძანება;

2014 წლის 29-31 დეკემბრის ქრონიკა

<p>1) RMG Gold-ის წერილო რეგისტრირებულის გარემოს ერთგულობის საკუთრების</p> <p>15:25 სთ 29.12.2014</p> <p>3) საექიპით RMG Gold-ის წერილო უზავნის გარემოსა და შემოწმების რეგისტრირების დაცვის სამინისტროს</p> <p>11:05 სთ 30.12.2014</p> <p>5) სამინისტრო წერილოს უზავნის ერთგულობის მემკვიდრეობის დაცვის ერთგულობის საკუთრების</p> <p>11:29 სთ 30.12.2014</p> <p>7) სამაცხოვმანისა ვზების ფორმულირებული ინიციუტის სამინისტროს წერილოს</p> <p>11:32 - 14:25 სთ 30.12.2014</p>	<p>2) საექიპით ინიციუტის RMG Gold-ის წერილოს</p> <p>15:25სთ 29.12 - 11:05სთ 30.12.2014</p> <p>4) სამინისტრო ინიციუტის RMG Gold-ის წერილოს</p> <p>11:05 - 14:28 სთ 30.12.2014</p> <p>6) სამინისტრო წერილოს უზავნის სამაცხოვმანისა ვზების დაცვის მემკვიდრეობის</p> <p>11:32 სთ 30.12.2014</p>
<p>8) ვზების დაცვის მუნიციპალიტეტი გადაწყვეტილების "თაშიმობის" თაობაზე</p> <p>14:25 სთ 30.12.2014</p> <p>10) სამინისტრო სამართლების მთავრობის უზავნის სამართლებრივი აქტის მიღებულის</p> <p>14:28 სთ 30.12.2014</p>	<p>9) სამინისტრო მიზანების საქართველოს მთავრობისათვის გასაფუძვლის წერილოს</p> <p>11:05 - 14:28 სთ 30.12.2014</p> <p>11) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ერთგულობის საკუთრების ინიციუტის სამინისტროს წერილოს</p> <p>11:29 - 15:20 სთ 30.12.2014</p>
<p>12) საექიპით უზავნის სამინისტროს გადაწყვეტილების "თაშიმობის" თაობაზე</p> <p>15:20 სთ 30.12.2014</p>	<p>13) საქართველოს მთავრობის, მთავრობის მსგავსობრივი ინიციუტის სამინისტროს მიზან გატარებილი სამართლებრივი აქტის მიღებულის</p> <p>15:00 +2 სთ? 30.12.2014</p>
<p>14) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია აფიაზმის მთავრობის სამართლებრივი აქტი</p> <p>30.12.2014</p> <p>16) სამინისტრო მთავრობის სამართლებრივი პრეს უზავნის გარემოს ერთგულობის საკუთრების</p> <p>31.12.2014</p>	<p>15) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია მთავრობის სამართლებრივი პრეს უზავნის სამინისტროს</p> <p>11:35 სთ 31.12.2014</p> <p>17) საექიპით ამაღლების გადაწყვეტილების RMG Gold-ისთვის საყდრისი-კანისლინის ტერიტორიაზე დაცვის უზავნის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე</p> <p>31.12.2014</p>
<p>18) გარემოს ერთგულობის საკუთრების გადაწყვეტილების აწელის RMG Gold-</p> <p>31.12.2014</p>	 <p>საექიპით ამაღლების გადაწყვეტილების RMG Gold-ისთვის საყდრისი-კანისლინის ტერიტორიაზე დაცვის უზავნის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე</p> 

10.3. მთავრობის სხდომამდე და მთავრობის სხდომის შემდეგ დავიწყებული საკითხები

სამწუხაროდ, ლიცენზიის გაგრძელებაზე მსჯელობის დროს არც გარემოს ეროვნულ სააგენტოს, არც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და არც მთავრობას მხედველობაში არ მიუღიათ ის გარემოებები, რომ, მაშინ როცა „RMG-Gold“-ს საყდრისი-ყაჩალიანის კონტექსტში ლიცენზიას უგრძელებდნენ, დაინტერესებულ პირებს ადმინისტრაციული წესით უკვე გასაჩივრებული ჰქონდათ¹⁵¹ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის ის გადაწყვეტილებები, რომელთა საფუძველზეც, კომპანიამ საყდრისი-ყაჩალიანში არქეოლოგიური ობიექტის დაშლის (ალების) სახელით, სინამდვილეში, მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოება განახლა. არადა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებები „RMG-Gold“-ს თანდართული ჰქონდა გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი განცხადებისთვის¹⁵² და, ადმინისტრაციული წარმოების დადგენილი წესით ჩატარების შემთხვევაში, აუცილებლად უნდა დაინტერესებულიყო განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების მდგომარეობით.

ლიცენზიის გაგრძელებაზე მსჯელობის დროს, პრაქტიკულად არცერთ ადმინისტრაციულ ორგანოს მხედველობაში არ მიუღია ის გარემოება, რომ საყდრისი-ყაჩალიანთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, როგორიც იყო ობიექტისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნა და მსხვილმასშტაბიანი სამუშაოები, დავა სასამართლო ინსტანციებში მიმდინარეობდა¹⁵³ და კომპანია და გადაწყვეტილებების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოები არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში იყვნენ.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები წათლად მოუთითებს, რომ „RMG-Gold“-ისთვის 2014 წლის 31 დეკემბერს ლიცენზიის მოქმედების გადის გაგრძელების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას წინ არ უსწრებდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოება, რაც ყველა გარემოების გამოკვლევას გულისხმობს. პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან საკითხისადმი დამოკიდებულება გვაფიქრებინებს, რომ, სინამდვილეში, ადმინისტრაციული ორგანოები არანაკლებ ჩეკარობდნენ კომპანიისთვის ლიცენზიის მოქმედების ვადა გაეგრძელებინათ, ვიდრე თავად კომპანია.

უფრო მეტიც, ლოგიკურად, მას შემდეგ, რაც „RMG-Gold“-მა 2014 წლის 13 დეკემბრიდან საყდრისი-ყაჩალიანში არქეოლოგიური ობიექტის დაშლის (ალების) თაობაზე თანხმობა მიიღო, აფეთქების ნაცვლად, ლიცენზიის ვადის გაგრძელების თაობაზე უნდა მიემართა გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის. ნორმალურ სიტუაციაში ერთ იარსებებდა წინასწარი გარანტია, რომ კომპანიას აუცილებლად გაუგრძელდებოდა ლიცენზიის მოქმედების ვადა, თუნდაც საყდრისი-ყაჩალიანის სალოკაციო ტერიტორიაზე. თუმცა, ლიცენზიის გაგრძელების კონტექსტში საყდრისი-ყაჩალიანის ორგვლივ განვითარებული მოვლენები ტოვებს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ, მაღალი ალბათობით, კომპანიას წინასწარ ჰქონდა გარანტია, რომ მას ლიცენზიას აუცილებლად გაუგრძელებდნენ.

¹⁵¹ კახა კოქორიძის და გიორგი გოგოჭურის 2014 წლის 19 დეკემბრის ადმინისტრაციული საჩივარი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ;

¹⁵² შპს „RMG-Gold“-ის 2014 წლის 29 დეკემბრის #469 კორესპონდენცია;

¹⁵³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება #3/3877 საქმეზე. მხარეები: მოსარჩელე - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“, დავით სახვაძე. მოპესუხე - საქართველოს კულტურისა და მემკონისტრო, საქართველოს მთავრობა. მესამე პარი - საქართველოს კულტურისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, შპს „RMG-Gold“. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ინტერნეტში შემდეგ ბმულზე - http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/10/court_decision_Finall.pdf; თბილისის საქალაქო სასამართლოს #3/1654-14 საქმეზე მიღებული 2014 წლის 30 მაისის განჩინება. მხარეები: მოსარჩელე - კახა კოჯორიძე, დალი მამულაზვილი. მოპესუხე - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. მესამე პირი: „RMG-Gold“. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ინტერნეტში შემდეგ ბმულზე - <http://gyla.ge/uploads/sakdrisiganchiseba.pdf>.

11. გამოძიება

საყდრისი-ყაჩალიანის, როგორც არქეოლოგიურ ობიექტის, დაზიანების შესახებ ჯერ კიდევ 2014 წლის 8 იანვარს გახდა ცნობილი. ინფორმაციის თანახმად, საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიურ ობიექტზე ადგილი ჰქონდა კლდის მასივში ამოკვეთილი წყლის ძველი აუზის და მის გვერდით არსებული, ასევე კლდეში ნაკვეთი, ამბოსების (მადნის გასამდიდრებელი სანაყები) მონგრევის ფაქტს.¹⁵⁴ აღნიშნული ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მაღლევე მიაწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის განყოფილებას, საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიურ ობიექტთან დაკავშირებით, კომპეტენციის ფარგლებში, საკითხის შესწავლის მიზნით.¹⁵⁵

პარალელურად, 2014 წლის 14 მარტს „სტუდია მონიტორინგი“ დოკუმენტური საგამოძიებო ფილმის მომზადების დროს, ვიდეოფირზე აღმოჩნდა საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიური ობიექტის დაზიანების ფაქტი. აღნიშნული ვიდეოკადრები გადაღებიდან მაღლევე გამოჩნდა ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში, როგორც ფილმის ანონსი.¹⁵⁶ საბოლოოდ, საზოგადოებამ ფილმი 2014 წლის 6 აპრილს იხილა.¹⁵⁷

ზემოთ აღნიშნული ორი შემთხვევა საკმარისი საფუძველი იყო იმისთვის, რომ შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებას გამოძიება დაეწყო. თუმცა, გამოძიების დაწყების შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას არ მიუღია.

შედეგად, 2014 წლის 21 მარტს საიამ თავად მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, მიმდინარეობდა თუ არა გამოძიება საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიური ობიექტის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით.¹⁵⁸ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან საიას ეცნობა, რომ დოკუმენტაცია საქართველოს მთავარ პროკურატურაში იყო გადაგზავნილი.¹⁵⁹ შესაბამისად, საიამ ამჯერად უკვე პროკურატურას მიმართა კითხვებით: **მიმდინარეობდა თუ არა გამოძიება; თუ მიმდინარეობდა – სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით და გამოკვეთილი იყო თუ არა კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.**¹⁶⁰

სამუხაროდ, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საიას ინფორმაცია მხოლოდ 8 თვის შემდეგ, საიას მხრიდან წარმოატებით წარმოებული სასამართლო დავის შედეგად მიაწოდა და აცნობა, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის მიერ 2014 წლის 14 თებერვალს დაწყებული იყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე. პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიება მიმდინარეობდა სსკ-ს 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. თუმცა, კონკრეტული პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებული არ იყო.¹⁶¹

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ ზემოთ მითითებული სსკ-ს 332-ე მუხლი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ორ ნაწილად ჰყოფს. პირველ შემთხვევაში, საუბარია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე, რომელიც საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად არის ჩადენილი და რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.¹⁶² მეორე შემთხვევაში კი, საუბარია სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ისეთ ფაქტზე, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ არის ჩადენილი.¹⁶³

თუ მხედველობაში მივიღებთ სსკ-ს 332-ე მუხლის დეფინიციას და იმ ფაქტებს, რომლებიც თავის დროზე ჯერ კიდევ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ და საიამ საყდრისი-ყაჩალიანთან დაკავშირებით პროკურატურაში წარადგინეს, გაუგებარია, რატომ დაიწყო გამოძიება მხოლოდ სსკ-ს 332-ე მუხლი, რომელიც უკანონო არქეოლოგიურ სამუშაოებს და არქეოლოგიური ობიექტის დაზიანებას ეხება. აღნიშნული მუხლის თანამდებობა, არქეოლოგიურ ობიექტზე ნებისმიერი სახის სამუშაოების წარმოება ნებართვის გარეშე, ან **არქეოლოგიურ ობიექტზე განზრახ ზემოქმედება, რამაც მისი დაზიანება**

¹⁵⁴ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს არქეოლოგიური სექციის წევრის, გიორგი ნარიმანიშვილის 2014 წლის 9 იანვრის მოხსენებითი ბარათი;

¹⁵⁵ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 14 იანვრის განცხადება;

¹⁵⁶ ფილმის ანონსი <https://www.youtube.com/watch?v=FueBxZvF8I0>;

¹⁵⁷ <https://www.youtube.com/watch?v=oAQCmApCms0>;

¹⁵⁸ საიას 2014 წლის 21 მარტის #გ-04/121.14 განცხადება;

¹⁵⁹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 4 აპრილის #651757 კორესპონდენცია;

¹⁶⁰ საიას 2014 წლის 11 აპრილის #გ-04/149/14 განცხადება;

¹⁶¹ საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 30 დეკემბრის #13/81579 კორესპონდენცია;

¹⁶² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილი;

¹⁶³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მეორე ნაწილი;

ბა ან განადგურება გამოიწვია, ან, რის შედეგადაც ვერ ხერხდება მისი დათარილება, იდენტიფიცირება და მასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვება, სსკ-ით დასჯად ქმედებას წარმოადგენს.¹⁶⁴

საყურადღებოა, რომ პროკურატურის მიერ გამოძიების მხოლოდ სსკ-ს 332-ე მუხლით წარმოება მნიშვნელოვნად ამცირებს, ჯერ კიდევ 2014 წლის იანვარსა და მარტში საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიურ ობიექტზე დაფიქსირებული დაზიანებების ფაქტზე დაწყებული გამოძიების კონტექსტში, „RMG-Gold“-ის შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების დადგენის შესაძლებლობას.

საკითხისადმი პროკურატურის დამოკიდებულება ტოვებს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ, მაღალი ალბათობით, საგამოძიებო ორგანოს მხრიდან არ არსებობს მზაობა, სათანადოდ გამოიძიოს მომხდარი ფაქტი. აღნიშნული ვარაუდს ამყარებს ისიც, თუ რა გარემოებებში და როგორი ფორმით განხორციელდა 2014 წლის 12 დეკემბერს საყდრისი-ყაჩალიანისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნა, ხოლო მოვინანებით, იმავე თვის 31 რიცხვში – საყდრისი-ყაჩალიანის სალოკაციო ტერიტორიაზე ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები სრულებით საკმარისი საფუძველია საიმისოდ, რომ საზოგადოებას საქართველოს პროკურატურის მხრიდან საყდრისი-ყაჩალიანის საკითხზე დროული და ობიექტური გამოძიების წარმოების იმედი ნაკლებად ჰქონდეს. შესაბამისად, აპსოლუტურად ლოგიკური იყო საზოგადოებრივი ორგანიზაციების და 2500-ზე მეტი ადამიანის მიმართვა პარლამენტისადმი პეტიციის სახით, რომ საყდრისი-ყაჩალიანთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშენონილობის საკითხზე ემსჯელათ.¹⁶⁵ მართალია, საქართველოს პარლამენტმა იგივე საკითხზე ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ ინიციატივას საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშენონილობის თაობაზე მხარი დაუჭირა,¹⁶⁶ თუმცა, მოგვიანებით, საკითხი ჩააგდო და საქართველოს პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია აღარ შექმნილა.¹⁶⁷ არადა, პროკურატურის მიერ წარმოებული გამოძიების და საყდრისი-ყაჩალიანის საკითხზე საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დამოკიდებულების ფონზე, საქართველოს პარლამენტი რჩებოდა იმ ინსტიტუციად, რომელსაც, დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის გზით, საკითხში მეტი სიცხადის შეტანა შეეძლო.

12. სასამართლო – მოსამართლის შვებულება, როგორც „გამოსავალი“?

2013 წელს და 2014 წლის პირველ ნახევარში საყდრისი-ყაჩალიანის ირგვლივ განვითარებული მოვლენების დროს საკითხთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოები ცალსახად აცხადებდნენ, რომ პრაქტიკულად არავის ჰქონდა უფლება, დაინტერესებული პირის სტატუსით, ადმინისტრაციული საჩივრის თუ სასამართლო წესით, საყდრისი-ყაჩალიანის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შესახებ დავა ენარმოებინა.¹⁶⁸

ამ პროცესში ყველაზე აქტიურები იყვნენ საქართველოს მთავრობა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. თუმცა, 2013 წელს საყდრისი-ყაჩალიანის ძეგლის სტატუსის გარეშე დატოვებასა და „RMG-Gold“-ის მხრიდან მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით, მოქალაქეების სასამართლო წესით დაგამ შედეგი გამოილო და მოსარჩევები სასამართლომ დაინტერესებულ პირებად აღიარა.¹⁶⁹

შესაბამისად, 2013 და 2014 წლებში თბილისის საქალაქო სასამართლომ ცალსახად დაადასტურა საქართველოს მოქალაქეების უფლება, იდავონ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამის მიუხედავად, როდესაც 2014 წლის 12 დეკემბერს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ საყდრისი-ყაჩალიანისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნისა და არქეოლოგიური ობიექტის დაშლის (აღების) თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები დაინტერესებულმა პირებმა ადმინისტრაციული წესით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში

¹⁶⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლი;

¹⁶⁵ <https://gyla.ge/geo/news?info=2378>;

¹⁶⁶ საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 25 დეკემბრის #2986-რს დადგენილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია - www.parliament.ge;

¹⁶⁷ საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 4 მარტის #3120-IIIს დადგენილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია - www.parliament.ge;

¹⁶⁸ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 მაისის #14986 გადაწყვეტილება მარინე მიზანდარის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 მაისის #14990 გადაწყვეტილება კახა კოჯორიძის და დალი მატულაშვილის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #03/287 ბრძანება კახა კოჯორიძის და გიორგი გოგოჭურის ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;

¹⁶⁹ მაგ: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 თებერვლის განჩინება #3/344-15 საქმეზე.

გაასაჩივრეს, სამინისტრო კვლავ ძველ პოზიციაზე დარჩა.¹⁷⁰

საყურადღებოა, რომ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობის დროს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოები მუდმივად უგულებელყოფნენ როგორც სასამართლოს პოზიციას, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ (ე.ნ. ორჟუსის კონვენცია). კონვენცია, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ 2000 წლის 11 თებერვალს რატიფიცირდა, განსაზღვრავს „გარემოსდაცვითი ინფორმაციის“ ცნებას და ამ კატეგორიაში განიხილავს ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია კულტურული ობიექტების მდგრადი მარეობასთან.¹⁷¹ კონვენცია ასევე განმარტავს „დაინტერესებული საზოგადოების“ ცნებას და ასეთად მიიჩნევს საზოგადოებას, რომელსაც ეხება ან შესაძლოა შეეხოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღება, ან რომელიც დაინტერესებულია გარემოს დაცვის კუთხით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით.¹⁷² ამრიგად, ადმინისტრაციული ორგანოებისგან განსხვავებით, ორჟუსის კონვენცია ეჭვის ქვეშ არ აყენებს მოქალაქეების უფლებას, აქტიურად იყვნენ ჩართული კულტურული მემკვიდრეობის და, ზოგადად, კულტურული ობიექტების შესახებ მიმდინარე პროცესებში, საჭიროების შემთხვევაში კი, მოახდინონ საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლო წესით.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 2014 წლის 12 დეკემბერს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე, სამინისტროში წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარი იმ მოტივით თქვა, რომ საჩივრის წარმდგენ პირთა მხრიდან არ იკვეთებოდა რეალური, ფაქტობრივი ინტერესი, რომელზეც გავლენას ახდენდა გასაჩივრებული აქტები.¹⁷³

სამინისტროს უარის შემდეგ, სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის მოთხოვნით, დავამ სასამართლოში გადაინაცვლა. მართალია, ამ ეტაპზე სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა არ დაწყებულა, თუმცა, რამდენიმე ისეთ ფაქტს უკვე ჰქონდა ადგილი, რომელმაც, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს სასამართლოს მხრიდან საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. მივყვეთ თანმიმდევრობით.

კახა კოუროიძის და გიორგი გოგოჭურის ინტერესების დაცვის მიზნით, 2015 წლის 21 იანვარს საიამ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა. გარდა იმისა, რომ სარჩელით მოთხოვნილი იყო 2014 წლის 12 დეკემბერს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ საყდრისი-ყაჩაღიანისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნის და, ასევე, არქეოლოგიური ობიექტის დაშლის (ალების) თაობაზე გამოცემული აქტების ბათილად ცნობა, აგრეთვე, მოთხოვნილი იყო გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერება.¹⁷⁴

სასამართლოს საქმის წარმოების სისტემის – www.info.court.ge – მიხედვით, საქმე განსახილველად დაეწერა მოსამართლე ნანა დარასელიას. 2015 წლის 26 იანვარს, სარჩელზე თანდართულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ საქმეზე დადგინდა ხარვეზი,¹⁷⁵ რომელიც განჩინების ჩაბარებიდან უმოკლეს დროში გასწორდა.¹⁷⁶ შესაბამისად, 2015 წლის 4 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო განჩინება, რომელიც გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერებას ეხებოდა.¹⁷⁷ აღნიშნული განჩინება ორი მიზეზის გამო არის მნიშვნელოვანი:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს რომელი მოსამართლის მიერ იქნა მიღებული;
- რატომ და რა მოტივით არ დააკმაყოფილა მოსამართლემ მოსარჩელეების შუამდგომლობა გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე.

პირველ შემთხვევაში, საყურადღებოა ის, რომ საქმეზე განჩინება მიიღო არა მოსამართლე ნანა და-

¹⁷⁰ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #03/287 ბრძანება კახა კოუროიძის და გიორგი გოგოჭურის ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;

¹⁷¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამსფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“. მუხლი 2, პუნქტი 3;

¹⁷² გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამსფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“. მუხლი 2, პუნქტი 5;

¹⁷³ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #03/287 ბრძანება კახა კოუროიძის და გიორგი გოგოჭურის ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;

¹⁷⁴ კახა კოუროიძის და გიორგი გოგოჭურის 2015 წლის 21 იანვრის სარჩელი. რეგისტრაციის #15702354;

¹⁷⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 26 იანვრის #3/444-15 საქმეზე მიღებული განჩინება;

¹⁷⁶ კახა კოუროიძის და გიორგი გოგოჭურის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი 2015 წლის 29 იანვრის განცხადება;

¹⁷⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 თებერვლის #3/444-15 საქმეზე მიღებული განჩინება;

რასელიამ, რომელსაც სარჩელი სასამართლოში რეგისტრაციის დროს დაეწერა, არამედ მოსამართლე ნინო ბუაჩიძე.¹⁷⁸

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის 29 იანვრიდან მოსამართლე ნანა დარასელია იმავე წლის 6 თებერვლის ჩათვლით შვებულებაში გავიდა.¹⁷⁹ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმების გათვალისწინებით, სწორედ 29 იანვრიდან 6 თებერვლის შუალედში უნდა ემსჯელა მოსამართლე ნანა დარასელიას მოსარჩელების შუამდგომლობაზე.¹⁸⁰

ცხადია, რთულია იმისი მტკიცება, რომ მოსამართლე ნანა დარასელია საყდრისთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე წარდგენილი შუამდგომლობის გამო გავიდა შვებულებაში, თუმცა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქმე განსახილველად გადაეცა სწორედ მოსამართლე ნინო ბუაჩიძეს და არა თბილისის საქალაქო სასამართლოს სხვა რომელიმე მოსამართლეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, მოსამართლე ნინო ბუაჩიძე 2014 წლიდან ეწევა სამოსამართლო საქმიანობას, ხოლო იმავე წლის ივლისიდან მოვლინებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ.¹⁸¹

საისა ხელთ არსებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, მოსამართლე ბუაჩიძეს ერთხელ უკვე ჰქონდა ნამსჯელი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის იმ გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერების თაობაზე, რომლის საფუძველზეც, საყდრისი-ყაჩაღიანს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მოეხსნა.¹⁸² მოსამართლემ, 2015 წლის 15 იანვარს მიღებული განჩინებით, არ დააკმაყოფილა მოსარჩელების შუამდგომლობა და არ შეაჩერა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის იმ გადაწყვეტილების მოქმედება, რომლის საფუძველზეც, საყდრისი-ყაჩაღიანს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მოეხსნა.¹⁸³ აღნიშნულის საფუძვლად სასამართლომ შემდეგი გარემოებები მიუთითა:

1. გასაჩივრებული აქტი უკვე აღსრულებული იყო;
2. სარჩელი და წარდგენილი შუამდგომლობა არ შეიცავდა სათანადო დასაბუთებას, თუ რაში გამოიხატებოდა გასაჩივრებული აქტის უკანონობა.¹⁸⁴

ამდენად, მოსამართლე ნინო ბუაჩიძეს ერთხელ უკვე ჰქონდა ნამსჯელი ერთ-ერთი გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერებაზე.

ცხადია, ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა, კახა კოუორიძის და გიორგი გოგოჭურის ინტერესების დაცვის მიზნით, საისა მიერ მომზადებულ და წარდგენილ სარჩელში დაყენებულ შუამდგომლობაზე მსჯელობა, რომლის დაკმაყოფილებასაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებების მოქმედების შეჩერება უნდა მოჰყოლოდა.¹⁸⁵

2015 წლის 4 თებერვალს მოსამართლემ იმსჯელა გასაჩივრებული აქტების მოქმედების თაობაზე წარდგენილი შუამდგომლობის შესახებ და არ დააკმაყოფილა.¹⁸⁶ სასამართლო განჩინებაში აღნიშნავდა, რომ:

- მოსარჩელეების შუამდგომლობა დამყარებულია ვარაუდზე, რომ საყდრისი-ყაჩაღიანში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოების გაგრძელების შემთხვევაში, წინამდებარე დავის მოსარჩელეების სასარგებლოდ დასრულების პირობებში, საყდრისი-ყაჩაღიანი, როგორც უძველესი ოქროს მაღარო, შესაძლებელია საერთოდ აღარ არსებობდეს.¹⁸⁷
- წარმოდგენილი შუამდგომლობა არ შეიცავს დასაბუთებას იმის თაობაზე, მიწის მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების განხორციელებაზე დადებითი დასკვნის მოქმედების შეჩერების პირობებში რა ზიანის მომტანია გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეუჩერებლობა. გა-

¹⁷⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 თებერვლის #3/444-15 საქმეზე მიღებული განჩინება;

¹⁷⁹ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 13 თებერვლის #125/225-03-ო კორესპონდენცია;

¹⁸⁰ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. მუხლი 29;

¹⁸¹ <http://www.tcc.gov.ge/index.php?m=501&newsid=1280>;

¹⁸² თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 15 იანვრის განჩინება #3/120-15 საქმეზე;

¹⁸³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 15 იანვრის განჩინება #3/120-15 საქმეზე;

¹⁸⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 15 იანვრის განჩინება #3/120-15 საქმეზე;

¹⁸⁵ კახა კოუორიძის და გიორგი გოგოჭურის 2015 წლის 21 იანვრის სარჩელი. რეგისტრაციის #15702354;

¹⁸⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 თებერვლის განჩინება #3/344-15 საქმეზე;

¹⁸⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 თებერვლის განჩინება #3/344-15 საქმეზე; გვ. 4;

საჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე შუამდგომლობაში საჭიროა წარმოჩნდეს ის ზიანი, რაც უშუალოდ სადაც აქტების მიღებით შექმნილი მდგომარეობის შენარჩუნებას შეიძლება მოჰყვეს.¹⁸⁸

სასამართლომ მხედვებლობის მიღმა დატოვა ის გარემოება, რომ გასაჩივრებული აქტების აღსრულებით არსებითი ზიანი ადგებოდა საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიურ ობიექტს და თუ არ მოხდებოდა მათი მოქმედებების შეჩერება, შეუძლებელი გახდებოდა იმ ინტერესის დაცვა, რომლისთვისაც მოსარჩელებმა სასამართლოს მიმართეს.

უფრო მეტიც, შუამდგომლობაზე მსჯელობის დროს სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა საყდრისი-ყაჩალიანის შესწავლის მიზნით შექმნილი ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის მონაცილეების განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ საყდრისი-ყაჩალიანში უძველესი ოქროს მომპოვებლების საქმიანობის კვალი ვრცელდებოდა მთის წვერიდან 70 და მაღაროში პირველი ჩასასვლელიდან 38 მეტრის სიღრმეზე, რის გამოც საყდრისი-ყაჩალიანში ნარმოებული სამუშაოები და იქ მიმდინარე აფეთქებები ბოლომდე ვერ წაშლიდა უძველესი კულტურის კვალს.¹⁸⁹

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო ბუაჩიძემ გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერებაზე უარის თქმის მიზნით მიღებულ განჩინებაში, ისევე, როგორც 2015 წლის 15 იანვრის განჩინებაში,¹⁹⁰ ამჯერადაც აღნიშნა, რომ გასაჩივრებული აქტებიდან სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება, რომლის ძალითაც საყდრისი-ყაჩალიანს ძეგლის სტატუსი მოეხსნა, აღსრულებული იყო. **ხოლო არქეოლოგიური ობიექტის დაშლის (აღების) თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება აღმჭურველი აქტი იყო და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.**¹⁹¹

სასამართლოს მხედვებლობაში არ მიუღია ის გარემოება, თუ რამდენად გაზრდიდა ობიექტის საბოლოო განადგურების საფრთხეს აღმჭურველი აქტის შეუჩერებლება და არც ის, რომ, სინამდვილეში, “RMG-Gold”-ი საყდრისი-ყაჩალიანში არა ობიექტის დაშლას (აღებას), არამედ მსხვილმასშტაბიან სამუშაოებს აწარმოებდა. არადა, საყდრისი-ყაჩალიანთან დაკავშირებული ორივე საფრთხე სათანადო იყო დასაბუთებული სასამართლოს წინაშე დაყენებულ შუამდგომლობაში.

თუმცა, მოვლენები გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერებასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების შემდეგ არ დასრულებულა. მოსარჩელეების გადაწყვეტილების საფუძველზე, 2015 წლის 17 თებერვალს საიამ კერძო საჩივარი წარადგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც 2015 წლის 27 აპრილს მიღებული განჩინებით, ნანილობრივ დააკმაყოფილ მოსარჩელეების საჩივარი და, იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება **იურიდიულად არ იყო სათანადო დასაბუთებული**, თბილისის საქალაქო სასამართლოს საკითხის ხელახლა განხილვა დაავალა.¹⁹²

თბილისის საქალაქო სასამართლოში საკითხის ხელახლა განხილვა მოსამართლე ნანა დარასელიას დაევალა, რომელმაც, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, 2015 წლის 16 მაისს საყდრისი-ყაჩალიანის ადგილზე დათვალიერება განახორციელა,¹⁹³ 2015 წლის 18 მაისს მიღებული განჩინების საფუძველზე კი დაადგინა, რომ სასამართლო არ შეაჩერებდა გასაჩივრებული აქტების მოქმედებას.¹⁹⁴

მნიშვნელოვანია, რომ ჯერ თბილისის საქალაქო სასამართლომ, რომელმაც, მოსარჩელეების მიერ წარდგენილი სათანადო მტკიცებულებების მიუხედავად, 2015 წლის 4 თებერვალს არ შეაჩერა გასაჩივრებული აქტების მოქმედება,¹⁹⁵ ხოლო მოგვიანებით თბილისის სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც მაქსიმალურად გამოიყენა კანონმდებლობით მინიჭებული ვადა და განჩინება მხოლოდ 2015 წლის 27 აპრილს მიღო, ¹⁹⁶ დიდწილად განაპირობეს საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიური ობიექტის განადგურება.

თუმცა, საკითხისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის და მუდმივი განხილვების ფონზე, სასამართლოებისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო, თუ რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე დასაბუთებული და დროული გადაწყვეტილების მიღებას.

¹⁸⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 თებერვლის განჩინება #3/344-15 საქმეზე; გვ. 4-5;

¹⁸⁹ საყდრისის ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის წევრების - გიორგი მინდიაშვილის, გიორგი გოგოვაშვილის და ბიძინა მურვანიძის, ასევე, თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის გოდერმი ნარიმანიშვილის 2014 წლის 17 დეკემბრის წერილი. სარჩელზე თანდართული დოკუმენტი #12;

¹⁹⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 15 იანვრის განჩინება #3/120-15 საქმეზე;

¹⁹¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 თებერვლის განჩინება #3/344-15 საქმეზე; გვ. 3-4;

¹⁹² თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 27 აპრილის განჩინება #38/227-15 საქმეზე;

¹⁹³ <http://ltv.ge/ge/news/view/99505.html>;

¹⁹⁴ <http://rustavi2.com/ka/news/16532>;

¹⁹⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 თებერვლის განჩინება #3/344-15 საქმეზე;

¹⁹⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 27 აპრილის განჩინება #38/227-15 საქმეზე;

13. დასკვნა

წარმოდგენილი კვლევა ნათლად ადასტურებს, რომ 2014 წლის 12 დეკემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხრიდან, საყდრისი-ყაჩალიანის საკითხზე მსჯელობის დროს, გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა უაღრესად ფორსირებულ რეჟიმში და ამ პროცესში ადმინისტრაციული წარმოების არაერთი წესი დაირღვა.

შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან შპს „RMG-Gold“-ის მიერ 2014 წლის 13 დეკემბერს საყდრისი №1 ყაჩალიანის უბანზე განხორციელებული უკანონო აფეთქების ფაქტზე ამ დრომდე არ მომხდარა სათანადო რეაგირება და დღის წესრიგში არ დამდგარა მისი სისხლისამართლებრივი შეფასების საკითხი.

2014 წლის 30 დეკემბერს სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, „RMG-Gold“-ისთვის საყდრისი-ყაჩალიანთან დაკავშირებული ლიცენზიის კონკრეტულ სალოკაციო ტერიტორიაზე გაგრძელების მიზნით, ერთი დღის განმავლობაში, დროის მცირე მონაკვეთში მიღებული გადაწყვეტილებები ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ კომპანიას წინასწარ ჰქონდა თანხმობა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე.

საყდრისი-ყაჩალიანთან დაკავშირებით გადამწყვეტი მნიშვნელობის აღმოჩნდა ის გარემოება, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი დამოუკიდებლად აკომპლექტებს სააგენტოს სისტემაში არსებული საბჭოს სექციებს. სწორედ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, სტრატეგიული საკითხების სექციის წევრებად დაინიშნენ პირები, რომელთა პოზიციამაც საყდრისი-ყაჩალიანი ძეგლის სტატუსის გარეშე დატოვა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ვერ უზრუნველყო საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიური ობიექტის დაშლის (აღების) მიზნით შექმნილი პერმანენტული მონიტორინგის ჯგუფის იმ შემადგენლობით დაკომპლექტება, რომლის წევრთა მიმართაც არ იარსებდა ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული კითხვები.

საყდრისი-ყაჩალიანის ირგვლივ განვითარებულ პროცესში სასამართლო არ აღმოჩნდა ის ინსტიტუცია, რომელიც, ერთი მხრივ, გასაჩივრებული აქტების შეჩერების თაობაზე მიღებულ განჩინებებში სათანადო დასაბუთებას ასახავდა და, მეორე მხრივ, აღნიშნულ განჩინებებს მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მიიღებდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 თებერვლის და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 27 აპრილის განჩინებებმა, დროის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიური ობიექტის განადგურებას.

მთლიანობაში, 2014 წლის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი, ნოემბერ-დეკემბრის თვეებში განვითარებული მოვლენები იძლევა იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ საყდრისი-ყაჩალიანის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, მომავალი გაცილებით ადრე გადაწყდა, ვიდრე მას 2014 წლის 12 დეკემბერს ძეგლის სტატუსის გარეშე დატოვებდნენ, მომდევნო დღეს არქეოლოგიურ ობიექტს ააფეთქებდნენ, ხოლო იმავე წლის 30-31 დეკემბერს „RMG-Gold“-ს ლიცენზიის მოქმედების ვადას გაუგრძელებდნენ. როგორც ჩანს, დასახელებულ თარიღებში მხოლოდ დოკუმენტების იურიდიულად გაფორმება მოხდა.

საყდრისი-ყაჩალიანის უძველესი ოქროს მაღაროს ირგვლივ განვითარებული მოვლენები იმის ნათელი მაგალითია, რომ საქართველოში საკმაოდ დაბალია როგორც კულტურული მემკვიდრეობის სათანადო დაცვის შესაძლებლობა, ასევე, ამ კუთხით კანონის მოთხოვნათა აღსრულების მაჩვენებელი. საყდრისი-ყაჩალიანის შემთხვევამ ნათლად და ცალსახად აჩვენა, რომ საეჭვო გარემოებებში, კანონმდებლობის მოთხოვნების გვერდის ავლით, შეიძლება მიღებული იყოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც, ეკონომიკური თუ სხვა ბუნდოვანი საინვესტიციო ინტერესების სახელით, საფრთხეს შეუქმნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, შენარჩუნებას და მომავალი თაობებისთვის გადაცემას.